



**შპს გურამ ჯივარტილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი  
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**თემა: სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციიდან წარმოშობილი უფლებები და  
მათი დაცვის გარანტიები**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**სტუდენტი:**

საბა გრიგალაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ლიკა საჯაია

თბილისი

2020

სარჩევი

ანოტაცია -----	2
Annotation -----	3
შესავალი -----	4
ლიტერატურის მიმოხილვა-----	6
თავი I. სასაქონლო ნიშანი ცნება და განვითარება-----	7
1.1 სასაქონლო ნიშნის ცნება და სახეები -----	7
1.2. სასაქონლო ნიშნის ისტორია-----	10
1.3 საერთაშორისო ხელშეკრულებები და მათი მოქმედების ფარგლები -----	13
თავი II. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და თანმდევი ხარვეზები -----	19
2.1 მარეგისტრირებელი ორგანო და მისი უფლებამოსილებები-----	19
2.2 რეგისტრაციაზე უარის თქმის ფორმალური და მატერიალური საფუძვლები-----	30
2.3. საყოველთაოდ აღიარებული ნიშანი და მისი განსაზღვრის კრიტერიუმები -----	35
თავი III საკანონმდებლო სივრცე და სასამართლო გადაწყვეტილებები -----	37
3.1 საქართველოს კანონმდებლობა და სასაქონლო ნიშნების ადგილი კანონმდებლობაში ----	37
3.სასამართლო გადაყვეტილება და აღსრულება -----	44
3.3 სასაქონლო ნიშნების დაცვის სასაზღვრო ღონისძიებები -----	50
კვლევის შედეგები -----	53
დასკვნა -----	54
გამოყენებული ლიტერატურა-----	55

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი სასაქონლო ნიშანი,

წარმოდგენილი და აღწერილი იქნება მისი ცნება და სახეები, ასევე სასაქონლო ნიშნების არსებობის საჭიროება და მათი დაცვის გარანტიები, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები და გადაჭრის გზები.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება სასაქონლო ნიშნის ცნება, სახეები და განვითარების ისტორია. გავეცნობით თუ როგორ რეგულირდება საერთაშორისო სამართლით სასაქონლო ნიშნიდან წარმოშობილი უფლებების დაცვა. ასევე, ვიმსჯელებთ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურაზე და იმ ხარვეზებზე, რაც შეიძლება თან ახლდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას სასაქონლო ნიშნის უფლებების დარღვევისას და როგორ ხდება ამ პრობლემის გადაჭრა დღევანდელი კანონმდებლობით.

კვლევაში გაანალიზებული ფაქტების სტატისტიკისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე, წარმოჩენილია სასაქონლო ნიშნის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, უფლების დაცვის საშუალებები და გარანტიები,

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, ლიტერატურის მიმოხილვას, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

## **annotation**

This application discusses. An important object of intellectual property is a trademark, Its concept and types will be presented and described, as well as the need for trademarks and their protection guarantees, registration problems and ways to solve them.

The concept, types and history of the trademark will be discussed in this paper. We will learn how to protect the rights of a trademark under international law. We will also discuss the trademark registration procedure and the shortcomings that may accompany the registration of the trademark. What problems may arise in breach of trademark rights and how to solve this problem under current legislation.

Based on the statistics and decisions of the analyzed facts, the problems related to the legal regulation of the trademark, the means of protection of the rights and guarantees are presented.

Application includes annotation. Contains a review of the literature. Introduction. The main topic (Rochelle is divided into chapters and subsections, conclusion and used literature list

## შესავალი

სასაქონლო ნიშანი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტია და მისი დაცვა დღევანდელ მსოფლიოში ძალიან აქტუალურია მისი პრაქტიკულობიდან გამომდინარე. სასაქონლო ნიშანი ბიზნეს ინდუსტრიაში ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობს, რადგან ცნობადობა და ხარისხის განმსაზღვრელობა ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია გააკეთონ არჩევანი კომპანიების პროდუქტსა და მომსახურებაზე, შესაბამისად ბიზნესის განვითარებასთან და ახალი კომპანიების წარმოშობასთან ერთად უფრო და უფრო იზრდება სასაქონლო ნიშნის დაცვის აქტუალობა. ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი თუ რატომ არის სასაქონლო ნიშანი აქტუალური დღევანდელ მსოფლიოში ეს არის საერთაშორისო ონლაინ ვაჭრობა. ეს ის სფეროა, სადაც ონლაინ მომხმარებელი ეცნობა პროდუქტს და მომსახურებას, მას მრავალი არჩევანი აქვს ამ კუთხით, შესაბამისად თუ მომხმარებელი შეცდომაში შევიდა და ნამდვილი, ორიგინალი საქონელი ვერ განასხვავა კონტრაფრაქციული საქონლისგან დაზარალდება არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ ის კომპანიაც, რომლისგანაც უნდა შეეძინა ეს საქონელი.

კვლევის მიზანია გავიგოთ თუ რა არის სასაქონლო ნიშანი და რა გახლავთ მისი დაცვის ობიექტი, რას ემსახურება ზოგადად სასაქონლო ნიშანი და როგორ ხდება მისი დაცვა, ასევე გავცნობით თუ რა სერვისებს გვთავაზობს სახელმწიფო სასაქონლო ნიშნის დაცვისთვის, როგორ ხდება მისი რეგისტრაცია და ამ რეგისტრაციიდან წარმოშობილი უფლების რეალიზება, დავინახოთ თუ რა პრობლემის წინაშე დგას ამ კუთხით საქართველო და როგორია ამ პრობლემის გადაჭრის გზები, რა მიზნები და პერსპექტივები აქვს სასაქონლო ნიშანს, როგორც ინტელექტუალურ საკუთრებას, გავცნოთ რა სავაჭრო წეს-ჩვეულებები და სასამართლო პრაქტიკაა დღესდღეობით.

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილული იქნება სასაქონლო ნიშნის მნიშვნელობა დღევანდელ მსოფლიოში და საქართველოში, თუ რა საერთაშორისო ხელშეკრულებები არსებობს და როგორ უზრუნველყოფს ეს ხელშეკრულებები სასაქონლო ნიშნების დაცვის კუთხით პრობლემის გადაჭრას, როგორ ხდება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია და გამოყენება საქართველოში, რა როლი აქვს საქპატენტს სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში, როგორია სასამართლო პრაქტიკა საქართველოში. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა გამოვიკვლიოთ სასაქონლო ნიშნის ისტორია და მისი განვითარება,

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებით ისტორიული ანალიზი და ქრონოლოგიური ანალიზი, რათა დავინახოთ თუ როგორი ცვალებადი და მზარდია სასაქონლო ნიშნის დაცვა ინდუსტრიის და მეცნიერების განვითარებასთან მიმართებაში. ასევე გამოყენებული იქნება სტატისტიკური ანალიზი, რათა დავინახოთ თუ რა რეალობის წინაშე ვდგავართ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის და დაცვის კუთხით და როგორ ვითარდება ის სხვადასხვა ქვეყნებში. ნაშრომი დაგვეხმარება, რომ გავიგოთ თუ როგორ შეიძლება სასაქონლო ნიშნის დაცვა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით და როგორი პრაქტიკა გვხვდება ამ კუთხით. არის თუ არა ის მნიშვნელოვანი და საჭირო როგორც ამას აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, ამისთვის გამოყენებული იქნება კრიტიკული ანალიზი და საკოდიფიკაციო მეთოდები, რათა უფრო ნათელი გახდეს სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე, ხოლო სისტემური ანალიზი დაგვეხმარება გავიგოთ რა განსხვავება კონტინენტურ სამართლის სისტემებს და ე.წ რბილი სამართლის სისტემებს შორის.

## ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ლიტერატურა, დავით ძამუკაშვილის „ინტელექტუალური სამართალი, რომელიც დამეხმარა ნათლად გაგვეგო თუ რა არის ინტელექტუალური სამართალი, რას წარმოადგენს ის სამართლის სფეროში ასევე გაგვეგო თუ რა არის მისი დაცვის ობიექტი, კერძოდ კი სასაქონლო ნიშანი, ამ მხრივ უფრო სიღრმისეული კვლევა მომცა მის ნაშრომმა „სამრეწველო საკუთრება“, რომლის მიხედვითაც ადვილად შევძელი ნაშრომში გამემიჯნა საავტორო უფლებას და სასაქონლო ნიშნის მფლობელს შორის სხვაობა უფლებების კუთხით. ასევე საინტერესო იყო მარიამ ძიძიგურის ნაშრომი „სასაქონლო ნიშნებზე უფლებების დაცვა“, რომელმაც ახლებურად და სხვა კუთხით დაგვანახა თუ რა მხრივ არის სასაქონლო ნიშნის გამოყენება ეფექტური და როგორ უნდა დავიცვათ ის დღევანდელ კანონმდებლობაში და რა სტატისტიკური მონაცემები იყო უახლეს წარსულში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის კუთხით.

სასაქონლო ნიშნის დაცვისთვის, როგორც ნაშრომში იქნება განხილული მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკა და მისი აღსრულება, ამ კუთხით მნიშვნელოვანდ დამეხმარა ნინო რუსეიშვილის ნაშრომი „მტკიცების ტვირტი ინტელექტუალურ სამართლებრივ დავაში“ ამ ნაღომმა ნათლად წარმოაჩინა ის სასამართლო პესრპექტივა და რეალობა, რაც დღევანდელ სასამართლო პროცესებს ახლავს და გასათვალისწინებელია სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებების დაცვის კუთხით.

ასევე როგორც ქართული ისე უცხოური ლიტერატურაც გამომადგა ნაშრომზე მუშაობისას, რომელიც მოძიებული იყო ან/და ნახსენებ იყო ქართულ ლიტერატურაშიც ესთები გახლდათ Muhammad Sarwar Chaudhry-ის ნაშრომი SCOPE OF TRADEMARK PROTECTION და ასევე PHAN NGOC TAM-ის სადოქტოროსთვის დაცული ნაშრომი WELL-KNOWN TRADEMARK PROTECTION. ასევე დიდი დახმარება გამიწია ინტერნეტში მოძიებულმა მასალებმა და პრეზენტაციებმა.

# სასაქონლო ნიშანი ცნება და განვითარება

## 1.1 სააქონლო ნიშნის ცნება და სახეები

შემოქმედებითი თავისუფლება - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებით და საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უფლებას წარმოადგენს. შემოქმედებით თავისუფლებას საქართველოში იცავს კონსტიტუციის მე-20 მუხლი: „*შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია.*“<sup>1</sup> ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობასთან, რომელიც მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს. ინტელექტუალური საკუთრება შეადგენს იმ უფლებათა ერთობლიობას, რომელიც ასეთი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად წარმოიშობა. ეს უფლებები არ ეხება უშუალოდ მატერიალურ ობიექტებს, რომლებშიც განსახიერებულია შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ინტელექტუალური სამართლის დაცვის ობიექტს, რადგან მასში არის ის თვისებები და ელემენტები, რაც მას ინტელექტუალური სამართლის დაცვის ობიექტად აქცევს და სწორედ ამიტომ მასზე ვრცელდება ყველა ის უფლებები, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ინტელექტუალური საკუთრების კუთხით. საქართველოს კანონმდებლობით: **სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განსხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომში – საქონელი)** <sup>2</sup>

შემოქმედების უფლება ადამიანს შანსს აძლევს ყველა ის უფლება თუ შესაძლებლობა გამოიყენოს და იცხოვროს როგორც მას სურს და დაუმტკიცოს თავის თავს და სხვებს, რომ ის არის გამორჩეული და განსხვავდება სხვა ადამიანებისგან, ამისთვის ადამიანები იგონებენ მრავალ

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> 21/06/2020

<sup>2</sup> „სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=7> 21/06/2020

ინსტრუმენტს, პროდუქტს, უკავშირებენ ერთ პროდუქტს მეორეს და ამით ქმნიან იმ პროდუქტს ან მომსახურებას, რომელიც უმეტესწილად სხვა ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. ამისთვის ავიღოთ ყველაზე ცნობილი მაგალითი ბორბალის გამოგონება, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში ყველაზე დიდ მიღწევად, რადგან ბორბალის გამოგონებამ ხელი შეუწყო ადამიანის ცხოვრების გამარტივებას და ცხოვრების სწრაფად განვითარებას. სწორედ ამ გამოგონებას მოჰყვა შემდგომში მასთან დაკავშირებული გამოგონებები, რომელმაც მსოფლიო ინდუსტრიის განვითარებას შეუწყო ხელი. შესაბამისად, ყოველი წვრილმანიც კი, რომელიც შესაძლოა იმ დროისთვის დიდ როლს არ ასრულებს სავსებით შესაძლებელია, მომავალში იყოს იმაზე ძვირფასი ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ინტელექტუალური საკუთრება, როგორც ადამიანის უფლება, უნდა იყოს დაცული, რადგან ეს არის ადამიანის ბუნებითი ნიჭი და შრომის ფასი, რომელიც უძლებს დროს და რჩება ისტორიაში, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის და კაცობრიობის ისტორიაში, რათა შექმნა და დატოვო ისტორიაში შენი კვალი. ინტელექტუალური სამართალის შემეცნებისთვის უნდა განვსაზღვროთ თუ რა არის როგორც მისი შინაარსი, ისე მისი მიზანი. ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ განმარტებას გვამღებს დავით ძამუკაშვილი, რომლის განმარტებით ინტელექტუალური საკუთრება: **„ინტელექტუალური (გონებრივ-შემოქმედებითი) საქმიანობის შედეგი, ქმნილების გარდა ინტელექტუალური საკუთრებას მიკუთვნებულია ობიექტი, რომლებიც შემქმნელობით შემოქმედებას არ მოითხოვს.“** შესაბამისად ინტელექტუალური საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: პირველი ნაწილი ეს არის ობიექტები, რომლებიც პირველად იქმნება და მოითხოვს შემქმნელობით საავტორო შემოქმედებას და მეორე ობიექტები, რომლებიც დასაცავია იმის გამო, რომ მათი კონკრეტული მიზნით სარგებლობა დაკავშირებულია სამეწარმეო-გამოყენებითი ხასიათის შემოქმედებასთან და უმეტეს შემთხვევაში პირველი კატეგორიის ობიექტების ეკონომიკურ სარგებლობას უწყობს ხელს <sup>3</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ ინტელექტუალური უფლებები ადამიანს ეხმარება თავისი თავი გამოავლინოს და დაანახოს მსოფლიოს რომ ის ორიგინალურია, ასევე უნდა გამოვეყნოთ ის საკითხიც, რომ ინტელექტუალური საკუთრება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ საკუთრებით ისევე, როგორც ნებისმიერი საკუთრების უფლებით, ადამიანი ღებულობს სარგებელს და იმ მატერიალურ სიკეთეს, რომელიც დაეხმარება ადამიანს იცხოვროს და უფრო უკეთ განავითაროს მისი საქმიანობა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ სასაქონლო ნიშანი მიმართულია ბიზნესის განვითარებისკენ. ადამიანი ნახატის შექმნისას ფიქრობს არა მისი გაყიდვით მიღებულ სიკეთეზე,

<sup>3</sup> დავით ძამუკაშვილი, „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი 2002, გვერდი 13-14

არამედ ამ ნახატში გადმოცემული ბუნებისა და მისწრაფებების ადამიანის მიერ დანახვაზე, რომ ადამიანებმა მას უკეთ გაუგონ ან/და ადამიანებმა ზოგადად შეიმეცნონ სამყარო, ასევე სასაქონლო ნიშნის შექმნისას ადამიანი ფიქრობს, როგორი ზემოქმედება მოახდენს მის პოტენციურ მყიდველზე და რა დადებითი და მიმზიდველი ნიშნები შეიძლება ჩადოს მის სასაქონლო ნიშანში, რათა უფრო წარმატებული და ცნობადი გახდეს მის მიერ შექმნილი პროდუქტი ან/და მომსახურება. სტატისტიკის მიხედვით ადამიანი დღის განმავლობაში 3 000-მდე სასაქონლო ნიშანს ხედავს, ეს განპირობებულია რეკლამების რაოდენობით. რეკლამა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა სასაქონლო ნიშნის ცნობადობის, სწორედ დღევანდელ მსოფლიოში ტექნიკის განვითარებასთან ერთად ეს საქმიანობა სულ უფრო და უფრო მარტივდება, მიუხედავად იმისა სად ვართ და რას ვაკეთებ ჩვენ ყოველთვის ვხედავთ და ვისმენთ სასაქონლო ნიშნების ნაირსახეობებს, ტელეფონში, ტელევიზორსა თუ რადიოში, ყველგან რეკლამის მეშვეობით აღვიქვამთ სასაქონლო ნიშნებით რაიმე პროდუქტის ან მომსახურების არსებობას.

დროთაგანმავლობაში გვიწევს ისეთ სამყაროში ცხოვრება, სადაც თითოეული ეს ტექნიკა თუ სივრცე ახდენს გავლენას ჩვენს ქცევებზე, იმიჯსა თუ სტილზე და მისი განუყოფელი ნაწილი ვხდებით, სწორედ ეს არის ბიზნესისთვის და კომერციული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი, რომ შექმნა ისეთი მომსახურება და პროდუქტი, რომ შენი საქმიანობა მიმართული იყოს საზოგადოების კეთილდღეობაზე და მის განვითარებაზე, ხოლო შენი ნიშანი უნდა განსაზღვრავდეს შენს სტილს და მიზანს, ამიტომ თითოეული შენი ნაბიჯი და მისწრაფება უნდა იყოს დაცული და გარანტირებული, რომ შენი საქმიანობა იქნება ხელშეუვალი და დაცული. ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ უნდა შევქნათ ჩვენი ბიზნესი, რომ მისი განვითარება და დაცვა შევძლოთ, რადგან სასაქონლო ნიშანი ხელს უწყობს ინდუსტრია უფრო განვითარდეს გამოგონების კუთხით და სასარგებლო მოდელების შექმნის კუთხით, რადგან ამ შემოქმედებითი საქმიანობის დაცვის გარანტია ძლიერი მოტივატორია ბიზნესის განვითარებისთვის. სასაქონლო ნიშნის დაცვის უფლების დარღვევით ასევე ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმებიც, რომელიც იცავს მომხმარებლებს, ვისაც სურს მიიღოს ის სიკეთე და სარგებელი, რომელიც შეიქმნა ინტელექტუალური შემოქმედების გზით და სასარგებლოა მისი ცხოვრებისთვისა და ჯანმრთელობისთვის.

## 1.2 სასაქონლო ნიშნის ისტორია

სასაქონლო ნიშნის ისტორია იწყება იმ დღიდან როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ვაჭრობა თავიანთი საქონლის გაყიდვით ქვეყნის შიგნით თუ სხვადასხვა ქვეყნებში, რომელიც შუა საუკუნიდან მოყოლებული დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ვაჭრობის დროს არა მხოლოდ გამყიდველი იღებს სარგებელს გაყიდული საქონლით, არამედ მყიდველიც, რომელიც იძენს ისეთ ნივთს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ან/და დამხმარე როლს შეასრულებს მის ცხოვრებაში და ამისთვის საჭიროა რომ შენაძენი იყოს ხარისხიანი. შესაბამისად გამოგონება არა მხოლოდ მისი არსებობით ისაზღვრება, არამედ თუ რამდენად ხარისხიანი და გამოსადეგია თავისი საქმისთვის, სწორედ ამიტომ შესაძლებელია ერთი და იგივე ნაკეთობა პროდუქტი ან/და მომსახურება შემოგვთავაზოს სხვადასხვა ადამიანმა, მყიდველის მიზანია ამოარჩიოს მათგან საუკეთესო, მაგრამ სწორედ ამ არჩევანის გაკეთება ყველაზე რთული ნაბიჯი აირჩიო ის, რომელიც ყველაზე კარგი და ხარისხიანია. ამისთვის მწარმოებლები ცდილობენ დაანახონ მყიდველებს თავიანთი პროდუქტის საუკეთესო მხარე და ცდილობენ თავიანთი პროდუქტი განასხვავონ სხვა პროდუქტისგან და უფრო მიზიდველი გახადონ მყიდველთათვის.

სწორედ აქედან იწყება სასაქონლო ნიშნის შექმნა, მწარმოებლები თავიანთი პროდუქტებისთვის იგონებდნენ სხვადასხვა დამახასიათებელ ნიშნებს და ფუთავდნენ მათ ისე, რომ მიზიდველი და განსხვავებული ყოფილიყო სხვებისგან. ამისთვის იყენებდნენ სიმბოლოებს, ნახატებს, წარწერებს და მრავალ სხვა საშუალებას, რომელთა დახმარებით მყიდველები განასხვავებდნენ მარტივად თუ რომელი პროდუქტი რომელი მწარმოებლის მიერ იყო დამზადებული, მაგრამ რაღა თქმა უნდა ამას თან მოჰყვა ის, რაც დღესაც ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად ითვლება სასაქონლო ნიშნების დაცვის კუთხით, ეს არის „კონტრაფრაქცია“ ანუ გაყალბება მიმსგავება ერთი პროდუქტის მეორესთან, რომელიც ართულებდა ერთი პროდუქტი განსხვავებას მისი თვისებებით და ხარისხით მეორე პროდუქტისგან, ამ პრობლემასთან ბრძოლა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მიმდინარეობდა. პირველად ასეთი რამ „საღვთო რომის იმპერიაში“ მოხდა, სადაც მეფე კარლოს მეხუთემ გამოსცა ედიქტი, რომელიც ყალბისქმნელებს სჯიდა და ეს სასჯელი გამოიხატებოდა მათი პროფესიიდან გარიცხვით და

მარჯვენა ხელის მოკვეთით<sup>4</sup>. ამის მერე მიჰყვა საფრანგეთი და ინგლისი, რომლებმაც დაიწყეს იმ პირების დასჯა, რომლებიც სხვისი სახელით აყალბებდნენ პროდუქტებს, მაგრამ მსოფლიოს ქვეყნების დაკავშირებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მცირდებოდა შანსი, რომ ასეთი ადამიანების დასჯა მომხდარიყო, რადგან თითქმის ყველა ქვეყანაში აღწევდა ეს პროდუქტი და სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას ურთულებდა ნამდვილი პროდუქტის გარჩევას მიმსგავებული პროდუქტისგან.

სახელმწიფოებმა მიმართეს სხვადასხვა მეთოდს და ერთ-ერთი პირველი მეთოდი 1474 წელს ვენეციის რესპუბლიკამ მიიღო, რომლის თანახმადაც დაინერგა „პრივილეგია“, რომლის მიზანი იყო პირველ რიგში შეემსუბუქებინა თვითონ პრივილეგიის მქონე საწარმოს წარმოება და ვალდებულებები და მეორეს მხრივ ქვეყნის ტერიტორიაზე დაცული ყოფილიყო მისი პროდუქტი და რაც მთავარია ეს პროდუქტი შეცვლიდა იმპორტულ საქონელს და არ იქნებოდა ქვეყანა დამოკიდებული იმპორტულ საქონელზე, სწორედ ეს იყო იმ უფლებების წარმოშობის წინაპირობა, რაც შემდგომში უკვე თანამედროვე მსოფლიოში დაინერგებოდა. პირველწყარო აქაც სახელმწიფოა, რომელიც ანიჭებს უფლებას გამომგონებელს და შემქნელს, რომ მათი პროდუქცია ყოფილიყო დაცული, მაგრამ ამასთან ეს უფლებები არც მაშინ და არც ახლა არ არის აბსოლუტური და აქაც ვხვდებით, რამდენიმე დათქმებს, მაგალითად როგორც მოგეხსენებათ ინგლისი მისი წარსულიდან გამომდინარე იყო მონარქიული ქვეყანა, სადაც მეფეს შეეძლო გაეცა ე.წ „სიგელი“, რომლის ძალითაც მოსარგებლე უპირატესობას მოიპოვებდა ამ პროდუქტზე. ამ მხრივ სასაქონლო ნიშნების სამართლის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი შედგა „იპსციჩელი მეამუდების“ საქმეზე, სადაც ითქვა ასეთი რამ: „თუ ვინმემ საკუთარი სიცოცხლის რისკით და საკუთარი ქონების ან დანაზოგის ხარჯზე შემოიტანა სამეფოში ახალი გამოგონება ან წარმოების ახალი წესი, ან ვინმემ გააკეთა რაიმე ახალი აღმოჩენა, ასეთ შემთხვევაში მეფეს თავისი კეთილგანწყობითა და წყალობით ამ პიროვნების მიერ გაწეული ხარჯისა და ძალისხმევის საკომპენსაციოდ შეუძლია დაადგინოს, რომ მხოლოდ მას ექნება უფლება, განსაზღვრული დროით ისარგებლოს ამ წარმოებით ან ვაჭრობით, რადგან გამოგონება უცხოა ამ სამეფოს ხალხისათვის,

---

<sup>4</sup> „სამართლებრივი განვითარება“ სტუდენტთა მე-7 სამეცნიერო კონფერენციის: „თეორია და პრაქტიკა სამართალში“ <http://www.library.court.ge/upload/kavkas%201.pdf>

რომელსაც არა აქვს მის გამოსაყენებლად საჭირო არც ცოდნა და არც გამოცდილება. მაგრამ, როცა პატენტი შეწყვეტს მოქმედებას, მეფეს არ ძალუძს მისი ხელახლა მინიჭება"<sup>5</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განურჩევლად სახელმწიფოს სამართლებრივი ფორმისა, ყოველ წყობილებაში საჭირო და მნიშვნელოვანია სასაქონლო ნიშანი და მისი დაცვა, მაგრამ ყოველ სახელმწიფოში ეს უფლებები და დაცვის გარანტიები განსხვავდება და ყოველი სახელმწიფო თავისი სამართლებრივი თუ ეკონომიკური მდგომარეობიდან სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს და სხვადასხვა შეზღუდვები და პრაქტიკა არსებობს ამასთან დაკავშირებით.

---

<sup>5</sup> ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი-„საქპატენტი“, თბილისი 2001წ

### 1.3 სასაქონლო ნიშნები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

მსოფლიოს განვითარებასთან და მიმოსვლის გამარტივებასთან ერთად სახელმწიფოები უფრო და უფრო დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ჩამოყალიბდა გლობალიზაცია, ქვეყნებს უწევდათ ერთმანეთთან ურთიერთობა და თანაცხოვრება, რამაც შექმნა იმის აუცილებლობა, რომ ამ ქვეყნების, როგორც ეკონომიკური, ისე სამართლებრივი სივრცის გათვალისწინებით შექმნილიყო ერთი საერთო პრინციპული სისტემა, სადაც მასში გაწევრიანებული ქვეყნები დაიცავდნენ და გაატარებდნენ შესაბამის ღონისძიებებს.

ერთ-ერთი პირველი ასეთი შეთანხმება, რომელიც არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნების, არამედ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გარანტიას, ეს არის „ისმოს“ შეთანხმება, რომელიც შეიქმნა 1967 წელს და ძალაში შევიდა 1970 წელს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული ხელშეკრულება არის სპეციალური შეთანხმება და მას საქართველო შეუერთდა 1996 წელს. როგორც აღვნიშნეთ, სასაქონლო ნიშანიც ინტელექტუალური სამართლის დარგს მიეკთვნება და მასზე ვრცელდება არა უშუალოდ სასაქონლო ნიშნების შესახებ ნორმატიული აქტები, არამედ უფრო ზოგადი და ფუნდამენტური დებულებები, სწორედ ამიტომ საწყისი არის ზოგადი ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც უნდა იყოს ხელშეუვალი და დაცული, რათა არამხოლოდ ერთი ადამიანი არამედ კაცობრიობა განვითარდეს. ბერნის კონვენცია აღიარებს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელსაც ეყრდნობა მთელი ბერნის კონვენციის დებულებები. ყურადღება მინდა გავამახვილოთ იმ პრინციპებზე, რომელიც დაკავშირებულია სასაქონლო ნიშნების დაცვასთან და რომელი პრინციპებიც დაგვანახებს თუ რა განსხვავებაა სასაქონლო ნიშნებსა და სხვა ინტელექტუალური საკუთრებით დაცულ ობიექტებს შორის. პირველი ეს არის „ეროვნული რეჟიმის პრინციპი“, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულების ფარგლებში კავშირის წევრ ერთ-ერთ ქვეყანაში წარმოშობილ ნაწარმოებს კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში უნდა ჰქონდეს

ისეთივე დაცვა, როგორსაც ეს ქვეყნები ანიჭებენ საკუთარ მოქალაქეებს. ამ მხრივ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასაქონლო ნიშნებზეც ითვალისწინებს აღნიშნულს, რადგან სასაქონლო ნიშნის მფლობელი ისეთვე უფლებებით სარგებლობენ, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეები. ხოლო, რაც შეეხება მეორე პრინციპს „ავტომატური დაცვის პრინციპს“ ამ მხრივ სხვაგვარად განმარტავენ ხელშეკრულებები აღნიშნულს, რადგან ეს პრინციპი ნიშნავს, რომ ნაწარმოებზე უფლებების წარმოქმნა დამოკიდებული არ არის ფორმალურ პირობებსა და პროცედურებზე. დაცვის მინიჭება ხდება ავტომატურად და არ არის დაკავშირებული რეგისტრაციასთან, რაც მთლიანად საპირისპიროს განმარტავს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-3 მუხლი, რომელშიც გაწერილია რომ: „სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტი“ მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე“ , შესაბამისად სასაქონლო ნიშნები მართალია მოქცეულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის არეალში, მაგრამ არ იგულისხმება, რომ ყველა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე ვრცელდება ერთი და იგივე დებულებები.

სასაქონლო ნიშნები ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო ვითარდებოდა, მაგრამ ამას თან ახლდა მისი დაცვის გარანტიების და იმ პირების გამოვლენის შანსის შემცირება, ვინც არღვევდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, ამიტომ საჭირო გახდა არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე მისი აღმოფხვრა, არამედ საერთაშორისო დონეზეც, რომ სახელმწიფოებს გაეცვალათ ინფორმაცია და გაეზიარებინათ თავიანთი შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საზღვრავს თუ რა არის სასაქონლო ნიშანი, რას ემსახურება ის, როგორ უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია, რომელ სასაქონლო ნიშანს აქვს პრივილეგია და რა ვადით შეიძლება იყოს დაცული ის. ასეთი შეთანხმებებიდან უნდა გამოვყოთ სამი ხელშეკრულება, რადგან საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს და ერთ-ერთი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო „საქპატენტი“ იყენებს და იცავს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისას მათში გაწერილ დებულებებს, ესენია: „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია“ , „შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (trips) ხელშეკრულება და „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული პროტოკოლი“

---

<sup>6</sup> ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი) – საქართველოს საპატენტო კანონით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი

(მადრიდის ოქმი).<sup>7</sup> ეს ხელშეკრულებები ერთის მხრივ განსაზღვრას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის წესს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და რა წინაპირობები გააჩნია მას და მეორეს მხრივ განსაზღვრავს დაცვის წესს ვადებს და ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშნების დაცვა, რომელზეც უფრო კონკრეტულად ქვემოთ ვისაუბრებთ.

აღნიშნული ხელშეკრულებები არ არის ჩვეულებრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის დებულებების გათვალისწინება რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს. ამ ხელშეკრულებების დახმარებით და ინსტრუქციებით დაინერგა საქართველოსა და ევოპულ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია და რაც მთავარია ამ ხელშეკრულებების დაცვით საქართველო უფრო და უფრო სანდო პარტნიორი ხდება ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ გააფართოვონ თავიანთი ბიზნესი ქვეყნებს გარეთ. ამ მხრივ უნდა გამოვიყოს მადიდის შეთანხმება და გაწერილი პროტოკოლი, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პროცესში. ეს არის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ერთ სისტემაში ერთიანდება ყველა დაცული სასაქონლო ნიშანი და უფრო მარტივი ხდება ნიშნის რეგისტრაციისგან წარმოშობილი უფლებების დაცვის არეალი და ასევე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „საქპატენტი“ ისმოს-ს მიერ ადმინისტრირებად პროგრამას „e-filing“-ს შეუერთდა. e-filing არის საერთაშორისო განაცხადების წარდგენის ელექტრონული სისტემა, რისი საშუალებითაც ქართველი მომხმარებლები და არა მარტო ქართველი მომხმარებლები საერთაშორისო განაცხადის წარდგენას ელექტრონულად შეძლებენ, რაც გაუადვილებს მათ „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, „მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის“ წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას. ამ კუთხით საქართველო მესამე ქვეყანაა, რომელიც ამ სისტემას გამოიყენებს და განმცხადებელს ერთ ენაზე, ერთი განაცხადის წარდგენით, შეეძლება სასაქონლო ნიშნის დაცვა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრ 118 ქვეყანაში.

საერთაშორისო რეგისტრაცია მნიშვნელოვან დამხმარე როლს თამაშობს კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ თავიანთი სასაქონლო ნიშნები დაარეგისტრონ სხვადასხვა ქვეყნებში. გლობალიზაციასთან და ბიზნესის ადვილად წამოწყებასთან ერთად თანდათან უფრო აქტიურად იყენებენ სხვადასხვა კომპანიები საერთაშორისო რეგისტრაციას, დროისა და ენერჯის დაზოგვის მიზნით. აქვე შეგვიძლია შევადაროთ სტატისტიკა, რომელიც ნათლად დაგვანახებს თუ რა

<sup>7</sup> სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია

[http://www.sakpatenti.gov.ge/media/page\\_files/paris\\_convention\\_full\\_xTFpIAM.pdf](http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/paris_convention_full_xTFpIAM.pdf) 21/06/2020

ზეგავლენა აქვს საერთაშორისო რეგისტრაციას საქართველოს მასშტაბით და რა თანაფარდობაა ამ კუთხით.

შედარებისთვის მოვიყვანოთ წლების რადიკალური განსხვავება, რათა უფრო ნათლად დავინახოთ სასაქონლო ნიშნის მნიშვნელობა დროსა და სივრცეში. 2006-2010 წლებში სასაქონლო ნიშნების სტატისტიკა გამოიყურება ასე:

**1. 2006-2010 წლებში შეტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გაგრძელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა**

წელი		2006	2007	2008	2009	2010
ეროვნული პროცედურა		1,110 (25%)	1,158 (23%)	1,459 (27%)	1,220 (27%)	1,311 (31%)
მათ შორის	ადგილობრივი	401 (9%)	553 (11%)	759 (14%)	623 (14%)	647 (15%)
	უცხოური	709 (16%)	605 (12%)	700 (13%)	597 (13%)	664 (16%)
საერთაშორისო პროცედურა		3,362 (75%)	3,786 (77%)	3,951 (73%)	3,212 (73%)	2,940 (69%)
სულ		4,472 (100%)	4,944 (100%)	5,410 (100%)	4,432 (100%)	4,251 (100%)

8

სტატისტიკის მიხედვით 2006 წლიდან 2010 წლამდე სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისას ყოველ წელს მნიშვნელოვნად აჭარბებს საერთაშორისო განცხადებების რეგისტრაციის რაოდენობა ეროვნული განცხადებების რაოდენობას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ კუთხით სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია პოპულარობით არ სარგებლობდა და შესაძლოა არც იმდენი რესურსი არსებობდა, რომ შესაბამისი სასაქონლო ნიშანი შექმნილიყო საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც დაცული იქნებოდა „საქპატენტში“. ასევე ამ პერიოდისთვის შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი ბიზნესის დაწყებასთან მიმართებაში ჭარბობდა ინვესტორი კომპანიები, რომლებიც უკვე არსებული სასაქონლო ნიშნით არეგისტრირებდნენ საქართველოში თავიანთ სასაქონლო ნიშანს. მიუხედავად ასეთი სტატისტიკისა შეგვიძლია ეს ციფრები დადებით კონტექსტში შევაფასოთ, რადგან ჩვენნაირი ქვეყნისთვის, რომელიც გეოპოლიტიკური და

<sup>8</sup> ჟურნალი № 4 „სამართლებრივი განვითარება“ სტუდენტთა მე-7 სამეცნიერო კონფერენციის: „თეორია და პრაქტიკა სამართალში“

ეკონომიკური კუთხით პერსპექტიულია ინვესტორებისთვის, როგორც სახმელეთო ისე საზღვაო მდებარეობს გამო ხელმისაწვდომია ყველა ქვეყნისთვის.

ასევე მინდა შევადაროთ აღნიშნული სტატისტიკა უახლეს მონაცემებს, რომელშიც ასახულია 2015-2019 წლებში ეროვნულ და უცხოური განცხადებების რეგისტრაციის რაოდენობა

შეტანის წელი	ეროვნული განაცხადების რეგისტრაციის რაოდენობა	საერთაშორისო განაცხადების რეგისტრაციის რაოდენობა
2015	1903	3436
2016	2149	2506
2017	2509	3144
2018	2177	3105
2019	2189	3339

მოცემული გრაფიკიდან კი ნათლად ირკვევა როგორ გაუმჯობესდა ეროვნული განცხადებების რეგისტრაციის რაოდენობა მოცემულ წლებში. 2016 წლიდან ეროვნული განცხადებების რაოდენობა არ ჩამოცდენილა 2 000 , რაც სასაქონლო ნიშნების პოპულარიზაციისთვის და აქტუალობისთვის მნიშვნელოვანია. ეს ხელს შეუწყობს სტაბილურობის შენარჩუნებას და ზრდას განაგრძობ ეროვნული განცხადებების რაოდენობა. ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო რეგისტრაციებს აქ ნათელია, რომ საქართველო ამ კუთხით მიმზიდველი სახელმწიფოა ბიზნესის სფეროში და სასაქონლო ნიშნების დაცვა პრიორიტეტულია, რაც განპირობებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც, რადგან საქართველო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყანაა.

შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ეს საერთაშორისო ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის სტანდარტებს სხვადასხვაგვარად იცავს და ინსტრუქციებიც განსხვავდება, მაგრამ ის საფუძღვები, რაც ძირითადია მათთან თანხვედრაში მოდის. TRIPS-ის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ერთგვარი შეთანხმებაა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასასპექტების შესახებ განმარტავს, რომ ნებისმიერი ნიშანი ან ნიშნების კომბინაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ერთი საწარმოს საქონლისა, ან მომსახურების

განსხვავება, მეორე საწარმოს საქონლის, ან მომსახურებისაგან, შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს. ამ დებულებიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ნიშანს თან უნდა ახლდეს განმასხვავებელუნარიანობა და ორიგინალურობა, რათა ის აღვიქვათ როგორც ცალკე დაცვის ობიექტი და დაცვითუნარიანობა გააჩნდეს. სწორედ ეს არის ამოსავალი წერტილი სასაქონლო ნიშნების არსებობისა. შესაძლებელია ნებისმიერ ნიშანს არ გააჩნდეს დაცვითუნარიანობა ან/და ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს და ზნეობრივ ნორმებს. სწორედ ამ მიზეზის გამო საერთაშორისო ხელშეკრულებები ადგენენ ზოგად პრინციპებს ქვეყნებს შორის, რათა არ მოხდეს ერთი ქვეყნის მიერ ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელიც შეურაცხყოფს სხვა ქვეყნის ზნეობრივ ნორმებს. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად : “სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის სახელმწიფო გერბს, დროშას ან ემბლემას, სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; საერთაშორისო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო ან სასინჯო დამდას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენს ან მედალს; საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას ან ფულის ნიშანს, ან ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე სიმბოლოს იმიტაციაა. აღნიშნული სიმბოლო სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან მფლობელის თანხმობა ამ სიმბოლოს გამოყენებაზე. სასაქონლო ნიშანი არის კომპანიის მთავარი სავაჭრო ნიშანი, რომლითაც საზოგადოებას აცნობს საკუთარ თავს და ამის ხარჯზე თავის პროდუქტს აქცევს მიმზიდველად, მაგრამ მოგეხსენებათ ბიზნესს საზღვები არ აქვს და ყოველდღიურად ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად ისიც ვითარდება. შესაბამისად მისი პროდუქტიც განიცდის მოდიფიკაციას, რომელსაც ასევე სჭირდება დაცვა, ხოლო ამ დაცვის მექანიზმს „პატენტი“ ეწოდება. თითოეული პროდუქტის მოდიფიკაციას იქნება ეს ფუნქციური თუ დიზაინერული, ყველა პროდუქტს დაცვისთვის სჭირდება დაპატენტება მარეგისტრირებელ ორგანოში, რათა მესამე პირებმა არ დაამზადონ კონტრაფაქციული პროდუქტი და ამით მატერიალური და არამატერიალური ზიანი არ მიაყენონ მწარმოებელ კომპანიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასაქონლო ნიშნის დაცვაში არ მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ პროდუქტზე გრაფიკულად გამოსახული ნიშნის დაცვა, არამედ მისი დაცვა გულისხმობს,

რომ კონტრაფაქციისგან ასევე დაიცვას ინოვაცია, რომელიც შექმნა კონკრეტულად ამ მწარმოებელმა. სხვა შემთხვევაში ფაქტობრივად კომპანია განიცდის მატერიალურ ზიანს, რადგან კარგავს უნიკალურობას და მათი ინოვაციური პროდუქტი აღარ არის განხვავებული ბაზარზე არსებული სხვა პროდუქტებისგან. სწორედ ეს წარმოადგენს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის დაცვის ობიექტს.

## სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და თანმდევი ხარვეზები

### 2.1 მარეგისტრირებელი ორგანო და მისი უფლებამოსილებები

საქართველოში სასაქონლო ნიშნებს, როგორც სამართლის ასევე ეკონომიკის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვანი როლი უჭირავს, რადგან საქართველო გამოირჩევა “doing business-ით”, რაც ნიშნავს, რომ შეგიძლია დაარსო კომპანია და დაიწყო წარმოება მარტივად, რაშიც სახელმწიფო თავისი სერვისებით გიწყობს ხელს, მაგრამ ბიზნესის წამოწყება ერთი შეხედვით მარტივი, თუმცა ასევე კომპლექსური საკითხია, რადგან ნებისმიერი ბიზნესის დაწყებისას უნდა განსაზღვრო ბაზარზე შემოდინხარ როგორც ახალი პროდუქტის შემომტანი, თუ უკვე ცნობილი პროდუქტის მწარმოებელი. მიუხედავად ამისა, თუ შენ აპირებ ნებისმიერი ბიზნესის წამოწყებას უნდა დაიცვა რიგი საკითხები, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში შენი ბიზნესის წარმატებას.

ამ საკითხებიდან უნდა გამოვყოთ სასაქონლო ნიშანი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია კომპონენტია კომპანიისთვის, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის განსაზღვრავს შენს ცნობადობას, სანდოობას და ხარისხს. ამ სფეროს კუთხით საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებობს კანონი „საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის და მათი დაცვის მექანიზმებს. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის ძირითადი დანიშნულება არის ის, თუ როგორ უნდა დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშანი, რა კომპონენტებს უნდა აკმაყოფილებდეს და როგორ ხდება ნიშანზე უფლებების მოპოვება, ასევე როგორ ხდება ამ მოპოვებული უფლების განკარგვა და დაცვა. სასაქონლო ნიშნების და ზოგადად მისგან წარმოშობილი უფლებების დაცვას მოგეხსენებათ, ვერც ერთი კოდექსი და კანონი ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილად. ამას როგორც წესი ადგენს სასამართლო პრაქტიკა და სავაჭრო წეს-ჩვეულებები, რაც უფრო ვრცლად იქნება განხილული ქვემოთ.

მანამდე კი დეტალურად განვიხილოთ კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომლის თანახმადაც ამ კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს თუ რა არის სასაქონლო ნიშანი: „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომში – საქონელი)“. შესაბამისად ნებისმიერი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას იქნება ეს საქონელი თუ მომსახურება რეგისტრაციის დროს უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის დებულებას და ეს სასაქონლო ნიშანი უნდა იყოს აღქმადი და გრაფიკულად გამოსახული, მაგრამ არსებობს ასევე გრაფიკული გამოსახულების გარდა ისეთი ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც, რომელიც შეიძლება ვერ გამოისახოს გრაფიკულად ანდა თუ გამოისახება ის არაფრის მთქმელია საზოგადოებისთვის. ამის ნათელი მაგალითია ბგერა ან ბგერათა თანწყობა, რადგან ბგერა არის ისეთი რამ რაც შესაძლოა ერთის მხრივ არანაირი განაკუთრებული და დასამახსოვრებელი არ არის ადამიანისთვის, როგორც ბგერის გრაფიკული გამოსახულება ვიდრე მისი მოსმენა და გააზრება, სწორედ ამიტომ სასაქონლო ნიშნების შესახებ მე-3 მუხლის მეორე ნაწილი უფრო ნათლად განმარტავს და ადგენს სასაქონლო ნიშნების საზღვრებს: „სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით“<sup>9</sup>

ყველას გვახსოვს კომპანია „NOKIA“ საფირმო სასაქონლო ნიშანი მელოდია, რომელიც მისი პროდუქტის, მობილურის , ჩართვისას ისმოდა. ერთი შეხედვით ეს ყველასთვის ნაცნობი მელოდიაა, მაგრამ მას თუ გრაფიკულად გამოვსახავთ ფურცელზე, როგორც ბგერა ამან შეიძლება საზოგადოებაში დაბნეულობა გამოიწვიოს, ამიტომ სასაქონლო ნიშნის შექმნისას უნდა გვახსოვდეს, რომ სასაქონლო ნიშანი უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი და მკაფიოდ წარმოდგენილი, რადგან არ გამოიწვიოს საზოგადოებაში დაბნეულობა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებს, როგორც აღნიშნულ სასაქონლო ნიშნების სახეობებს, როგორც ხმოვანს და გრაფიკულად გამოსახულს, ასევე არსებობს ყნოსვითი ნიშანიც,

<sup>9</sup> „სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=7> 21/06/2020

როგორც სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის სიმბოლო, ამ მხრივ უნდა ითქვას, ამერიკა ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, რომელმაც გადადგა ეს ნაბიჯი და ამ მხრივაც იცავს სასაქონლო ნიშანს.<sup>10</sup>

სასაქონლო ნიშნის გრაფიკული გამოსახულება შეიძლება იყოს მრავალგვარი, როგორც მისი შინაარსიდან ასევე აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, მაგალითად “KODAK” ამ სასაქონლო ნიშნიდან რთულია მიხვდეს საზოგადოება თუ რა პროდუქციას ან მომსახურებას სთავაზობს კომპანია, ასევე “HOT DOG” სიტყვათა ერთობლიო ქმნის გარკვეულ წარმოსახვას, მაგრამ რეალობაში მათი პროდუქტი სხვადასხვაა. პირველ შემთხვევაში “KODAK” არის ფოტო-ვიდეო მომსახურება, ხოლო მეორე მხრივ „HOT DOG” არის საკვები პროდუქტის ნაირსახეობა, რომელიც პოპულარულია ამერიკასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ ასეთმა სვლამ და მარკეტინგულმა, ხრიკმა შეიძლება გამოიწვიოს შენი სასაქონლო ნიშნის ცნობადობა, რადგან ეს სასაქონლო ნიშნები არის დამაფიქრებელი, ხოლო ადამიანი რაც უფრო მეტს ფიქრობს ამ კუთხით მით უფრო ინტერესდება ამ სასაქონლო ნიშნით წარმოებული პროდუქციით, რაც შემდგომში განაპირობებს კომპანიის წარმატებას.

საქართველოში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. საქპატენტი ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1992 წელს და ამ დროიდან იგი მონაწილეობს უამრავი კანონისა თუ დოკუმენტის შექმნაში, რომლებიც აწესრიგებენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების წარმოქმნას, ამ უფლების განხორციელების გზებსა და საშუალებებს. საქპატენტი ასევე უზრუნველყოფს, რომ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების რეგისტრაცია, განხორციელება თუ მისი დაცვა იყოს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი. იმისათვის, რომ საქართველო არ ჩამოუვარდებოდეს სტანდარტებით მსოფლიოს საქპატენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს უამრავ საერთაშორისო ორგანიზაციასთან. საქპატენტის დამსახურებით დღეს საქართველოში არსებობს ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე უცხოელებს აძლევს საშუალებას მიიღონ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შესახებ. ასევე, ამ ორგანიზაციამ შექმნა საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის საშუალებითაც იგეგმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის აღკვეთის ეფექტური გზები და სხვადასხვა საშუალებები.

<sup>10</sup> სტუდენტთა მე-7 სამეცნიერო კონფერენციის: „თეორია და პრაქტიკა სამართალში“ მონაწილეთა ნაშრომები, ჟურნალი № 4 „სამართლებრივი განვითარება, კავკასიის სამართლის სკოლა

ყველა დაინტერესებულ პირს არ აქვს მნიშვნელობა იქნება ის საქართველოს მოქალაქე თუ სხვა ქვეყნის მოქალაქე, ყველას აქვს უფლება დაარეგისტროს მის მიერ შექმნილი სასაქონლო ნიშანი. ხოლო რეგისტრაციამდე განმცხადებელს აქვს უფლება საქპატენტში სარეგისტრაციოდ წარდგენილი განაცხადების ან რეგისტრირებული ნიშნების შესახებ ინფორმაცია მოიძიოს საქპატენტის ვებგვერდზე <sup>11</sup>, რომლის მეშვეობითაც იგი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე გაეცნობა თუ რა სასაქონლო ნიშნები არსებობს ამ სისტემაში, რა კატეგორიებად არის დაყოფილი ნიშნები და რაც ყველაზე მთავარია არსებობს თუ არა უკვე ასეთი სასაქონლო ნიშანი. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურა, როგორც წესი, იწყება განაცხადის წარდგენით, რომელიც შეგვიძლია წარვადგინოთ, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით. მიუხედავად ასეთი მარტივი ინსტრუქციისაა მსოფლიოში არსებობს უამრავი სასაქონლო ნიშანი და იმის გათვალისწინებით, რომ შეიძლება ერთი სასაქონლო ნიშანი ჰგავდეს მეორე სასაქონლო ნიშანს ან/და იწვევდეს ასოციაციას, აღრევას ამ კუთხით არსებობს კრიტერიუმები, რომელიც აფასებს რეალურად არის თუ არა ესა თუ ის სასაქონლო ნიშნები ერთმანეთის მსგავსი.

ეს კრიტერიუმების რამდენიმე სახისაა, მაგალითად პირველ კრიტერიუმია შრიფტი და ფონტი. მოგეხსენებათ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ მე-4 მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია თუ ნიშანი ერთი არასტილიზებული (სტანდარტული) ასო ან ციფრია, შესაბამისად შრიფტი და ფონტი არის ერთ-ერთი განმასხვავებელი, რაც შეიძლება ქონდეს ნიშანს, იქნება ეს ზომა, დახრილობა, მოხატულობა, კანტები და ა.შ. ეს არის პირველი კრიტერიუმი, რომელიც ერთი შეხედვითაც ადვილად შესამჩნევია. მეორე ასეთი კრიტერიუმია ფერთა კომბინაცია. კომბინაცია იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი ფერი არ შეიძლება მივიჩნიოთ დაცვის ობიექტად, რადგან შეუძლებელია ფერი ვინმემ მიისაკუთროს, ამიტომ ფერთა სიმრავლემ, გრადაციამ და სიკაშკაშემ შეიძლება ნიშანს მისცეს განმასხვავებელუნარიანობა, რომლის შეფასებითაც უნდა მოხდეს ნიშნების განსხვავება. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ცხოვრება დეტალებისგან შედგება და სწორედ ეს დეტალები აძლევს ჩვენს ცხოვრებას აზრს. სწორედ ეს დეტალები შეიძლება იყვნენ ის მნიშვნელოვანი რამ, რაც ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ასევეა სასაქონლო ნიშნებშიც და შემდეგი კრიტერიუმი არის „სასვენ ნიშნებთან და სხვა სიმბოლოებთან კომბინაცია“ სწორედ ეს პატარა დეტალები უსვამენ ხაზს ჩვენს სტილს და ორიგინალურობას თუ როგორ უნდა გამოითქვას სიტყვა, რომელიც ასო უნდა გამოვყოთ ცალკე და სად არის სიტყვათა შორისი ბმა, ასევე ერთ-ერთი

<sup>11</sup> [http://www.sakpatenti.gov.ge/ka/search\\_engine/search/3/](http://www.sakpatenti.gov.ge/ka/search_engine/search/3/)

კრიტერიუმია სიტყვათა განლაგება. ეს ალბათ უძველესი კრიტერიუმია, რადგან მოგეხსენებათ დამწერლობის შექმნასთან ერთად იქმნებოდა დამწერლობის სტილიც, მაგალითად თუ ევროპაში და დასავლურ ცივილიზაციაში დამწერლობა იწყებოდა მარცხნიდან მარჯვნივ, ისლამურ და აღმოსავლეთ ქვეყნებში დამწერლობა მარჯვნიდან მარცხნივ მიმდინარეობს, შესაბამისად ერთი და იგივე სიტყვაც კი შეიძლება განსხვავებული იყოს თუ მათ მიმართულებებს შევუცვლით. არსებობს კიდევ ბევრი კრიტერიუმი მაგალითად არის თუ არა გამოყენებული სასაქონლო ნიშანში გეომეტრიული ფიგურები და სხვა სიმბოლოები, რომელიც დამატებით ინფორმაციას იძლევა, როგორც პირდაპირ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, ან/და ირიბად უკავშირდება მას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ სასაქონლო ნიშანში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი შეიძლება ერთდროულად შეგვხვდეს სასაქონლო ნიშანში, რაც დამეთანხმებით სასაქონლო ნიშნების სიმრავლესთან ერთად ბუნებრივი მოვლენაა. სწორედ ამიტომ საჭიროა ეს კრიტერიუმები დავყოთ, როგორც კატეგორიებად, ისე კლასებად. მაგალითად შესაძლებელია ერთი სასაქონლო ნიშანი სიმბოლურად და გრაფიკული თვალსაზრისით ჰგავდეს მეორე სასაქონლო ნიშანს.<sup>12</sup>

ხშირად სასაქონლო ნიშანთან ერთად მისი აღქმისთვის და მარტივად დამახსოვრებისთვის კომპანიები იყენებენ თავიანთ სლოგანს, მაგალითად ერთ-ერთ ცნობილ ბრენდს “NIKE” აქვს სლოგანი “just do it” (უბრალოდ გააკეთე) ეს სლოგანი მისი თანმდევი სტილია, რომელიც ყველა ამ ბრენდის მომხმარებელს უჩენს მოტივაციას, რომ შეიძინოს ეს პროდუქტი, რადგან უფრო კომფორტული და მარტივია, ასევე “mcdonalds” სლოგანი “I’m lovin’ it” ასეთ ნიშნებს უწოდებენ სიტყვით სასაქონლო ნიშნებს, რომელიც განუყოფელი ნაწილია ამ ნიშნის. მართალია ეს ნიშნების და სიტყვათა თანწყობა მარკეტინგული ნიშნით მომგებიანია, მაგრამ ეს სიტყვები და სლოგანები არ არის დაცვის ობიექტი და არ შეიძლება გავრცელდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლებები. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას მთავარი პრინციპი არის, რომ უნდა აკმაყოფილებდეს სასაქონლო ნიშნის რამდენიმე კომპონენტს ერთად. მაგალითად ერთ-ერთი უარის თქმის საფუძველია თუ სასაქონლო ნიშანი აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან, ანდა მიჩნეულია ასეთად. ამ

---

<sup>12</sup> დავით მამუკაშვილი; სამრეწველო საკუთრება (კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა) გამომც: უფლება; გვ 188; თბილისი, 1998

შემთხვევაში არ უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მაგრამ ერთ-ერთი ასეთი ნიშანი არის “Pampers” (პამპერსი) , რომელიც აღწერს თუ რისი სასაქონლო ნიშანია და რა სახეობის პროდუქტს უშვებს, ეს ნიშანი მართალია არ უნდა იყოს რეგისტრირებული როგორც აწერილობითი სასაქონლო ნიშანი, მაგრამ საქპატენტის ელექტრონულ სისტემაში მაინც ალოაჩენთ მსაგვს გამონაკლისებს. ასევე ხშირია სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, რადგან ეს ისეთი ობიექტია, რომელსაც საზოგადოება იოლად აღიქვამს, მაგრამ ამ კუთხითაც არის ხარვეზები მაგალითად სს „საქართველოს ბანკი“, მისი დამახასიათებელი ნიშანი არის ნარინჯისფერი და სიმბოლო ოქროს ლომი, მაგრამ საქართველოს ბანკის სასაქონლო ნიშნის დაცვის ობიექტია ოქროს ლომი და არა ფერი ნარინჯისფერი. ამის მიზეზი არის ის, რომ ცალკე აღებული ფერის გამოყენება შეუძლებელია აუკრძალო სხვა კომპანიებს. ასევე, მინდა ამ კუთხით ყურადღება გავამახვილოთ „ოქროს ლომზე“ ეს ერთ-ერთ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც რეგისტრირებადი სასაქონლო ნიშანი, რადგან სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ნიშანი არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ქონება, ხოლო ოქროს ლომი, როგორც მოგეხსენებათ, უძველესი ნივთია, რომელიც გადმოსცემს საქართველოს უძველეს ისტორიას, რომელიც საზოგადოების საკუთრებადაა მიჩნეული, მაგრამ ეს გამონაკლისი განპირობებულია იმ ჩანაწერით, რასაც გვაძლევს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი: **შეიცავს საქართველოს ისტორიული ძეგლის დასახელებას ან გამოსახულებას – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის გარეშე.** მოცემული მუხლიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ბანკს აქვს თანხმობა და მინიჭებული უფლებამოსილება, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სკულპტურა გამოიყენოს თავის სასაქონლო ნიშანზე.

საქპატენტს, როგორც თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე გააჩნია განსხვავებული სერვისები, გარკვეული პირობებით, მაგალითად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ხდება დაჩქარებული წესითაც, თუ განმცხადებელი განხადების შეტანიდან ერთი თვის განმავლობაში მოითხოვს დაჩქარებულ ექსპერტიზას და გადახდილი ექნება შესაბამისი საფასური ისარგებლებს ასევე დაჩქარებული სერვისებით. მაგალითად თუ ფორმალური ექსპერტიზა ხდება 2 თვის ვადაში დაჩქარებულის დროს ხდება 3 დღეში ამ შემთხვევაში ხორციელდება განცხადების მხოლოდ ფორმალური მხარე, ასევე თუ შემდგომ არსობრივი ექსპერტიზა ხდება 6 თვის ვადაში

დაჩქარებულის დროს ხდება 7 დღის ვადაში,<sup>13</sup> მაგრამ მიუხედავად ასეთი კარგი და სწრაფი სერვისისა საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ასეთ პროცედურების შემდეგ შესაძლოა მცდარი და საზიანო აღმოჩნდეს კომპანიისთვის. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიას 2015 წლის 14 აპრილს საქმეზე N79063/3 აღნიშნულ საქმეში, სააპელაციო საჩივრის ავტორი კომპანიები „ფერო ს.პ.ა“ და „სორემარკეტ ს.ა“ ითხოვდნენ „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ბრძანების ბატილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის “კიმდი“ რეგისტრაციის გაუქმებას, აპელანტი არ ეთანხმება საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და განმარტავს, რომ კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი არ ექვემდებარება რეგისტრაციას, მაშინ როცა: (I) სასაქონლო ნიშანი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია; ასევე (II) საქონელი იდენტურია ან მსგავსი; და (III) ეს მსგავსება ისეთი ხარისხისაა, რომ აჩენს სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის რისკს. კანონის მე-5 მუხლის „ზ“ პუნქტის შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი ასევე არსებობს, თუ სასაქონლო ნიშანი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია, და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. აპელანტი ასევე ყურადღებას ამახვილებს კომპანიის „კიან ბაჰარ კარან კო.“-ს მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის საქპატენტში რეგისტრაციის პრეისტორიაზე. აპელანტის მტკიცებით, 2015 წლის 28 იანვარს მან მიმართა საპატენტო კომპანიის „კიან ბასპარ კარან კო“-ს მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. 2015 წლის 9 თებერვალს საქპატენტიდან მიღებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ: 1) 2014 წლის 21 ოქტომბერს კომპანიამ მიმართა საქპატენტს და მოითხოვა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია; 2) 2014 წლის 29 ოქტომბერს საქპატენტის N1353 03 ბრძანებით, კომპანიას უარი ეთქვა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. აღნიშნული ბრძანების დანართად წარმოდგენილია არსობრივი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მიუთითებს, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი

---

<sup>13</sup> „სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი“ მუხლი 151. სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურა <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=7#!> ბოლოს ნანახი 21/06/2020

ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ჩანაწერს და სამგანზომილებიან ფიგურას; დასკვნა ასევე მიუთითებს, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი მსგავსია. აპელანტის სახელზე 28-ე და 30-ე კლასების მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა მიუთითებს, რომ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს ვიზუალური მსგავსება, კერძოდ ორივე მათგანი წარმოადგენს სტილიზებულ კვერცხებს, რომელთაც გააჩნიათ პირი. ხელები, თვალები, ფეხები და ახურავთ ქუდი. ამასთან, სტილიზებული კვერცხები შესრულებულია წითელ და თეთრ ფერებში, ზედა ტანი დაფარულია თეთრი ფერით, ხოლო ქვედა ტანი წითელი ფერით. ექსპერტიზა მიუთითებს, რომ სადავო ნიშანი განსხვავდება წითელი ფერის ხელთათმანებით, სტილიზებულად შესრულებული გულით, რომელიც ხელში უჭირავს; და მუცელზე სტილიზებული ლათინური ასოებით შესრულებული წარწერით „Kimdi“, მაგრამ აღნიშნული განსხვავებები არ სძენს სასაქონლო ნიშანს დამატებით განმასხვავებლობას. ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი არ ექვემდებარებოდა რეგისტრაციას კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2014 წლის 3 ნოემბერს სასაქონლო ნიშნის „kimdi“ კომპანიის წარმომადგენელმა მიმართა საქპატენტს და მოითხოვა რეგისტრაციაზე უარის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, 2014 წლის 13 ნოემბერს საქპატენტის ბრძანებით დაკმაყოფილდა კომპანიის წარმომადგენლის ზემოაღნიშნული მოთხოვნა ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განცხადებაზე განხილვა გაგრძელდა არსობრივი ექსპერტიზის ეტაპიდან. აღსანიშნავია, რომ ბრძანება, ბათილობის დასაბუთების ნაწილში პირდაპირ მიუთითებს, რომ არსობრივი ექსპერტიზის დასკვნიდან არ იკვეთება, რომ ექსპერტიზა ჩატარდა მოცულობით სასაქონლო ნიშნებზე. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მოცულობითი სასაქონლო ნიშნის შედარება, რომელიც სიტყვის, გამოსახულების და ფორმის კომბინაციაა, უნდა მოხდეს ამ სამივე ელემენტის გათვალისწინებით, ბრძანება პირდაპირ მიუთითებს, რომ ახალი არსობრივი ექსპერტიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს გაცხადებული სასაქონლო ნიშნის სამგანზომილებიანი ხასიათი. აპელანტი საეჭვოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ პირველი კვლევის შედეგების საპირისპიროდ, ექსპერტმა ვერ გამოავლინა ვერც ერთი მსგავსი სასაქონლო ნიშანი. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებით მიუთითა ექსპერტებს შეედარებინათ სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნის სამივე ელემენტი - სიტყვა, გამოსახულება და ფორმა, პირველმა ექსპერტიზამ გამოსახულების ნაწილში გამოავლინა მსგავსი გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი თუმცა, განმეორებითმა ექსპერტიზამ არ

დაასახელა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები და საერთოდ არ განახორციელა სასაქონლო ნიშნის ელემენტების შედარება.

აპელანტი ასევე განმარტავს, რომ რამოდენიმე ელემენტის, სიმბოლოს მეორე სასაქონლო ნიშნების შედარებისას, შესაძლოა რომელიმე ელემენტი უფრო მეტად ახდენდეს გავლენას მსგავსებაზე, ხოლო მეორე ელემენტი კი სქენდეს განმასხვავებლობას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ელემენტების ერთობლივი ანალიზი. საქპატენტის ბრძანებაში მართებულად არის მითითებული, რომ შედარებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის სხვადასხვა ელემენტების სიტყვის, გამოსახულების და ფორმის მსგავსება და მხოლოდ ამ ფონზე არის შესაძლებელი არსობრივი ექსპერტიზის შედეგების დადება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი თვლის, რომ პირველმა ექსპერტიზამ მართებულად განიხილა ვიზუალური მსგავსება და დაასკვნა, რომ არსებული განსხვავებები არ იყო საკმარისი სადავო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მისანიჭებლად, ასევე მართებული იყო საქპატენტის მიერ შესრულებული არსობრივი დასკვნის კვლევა განაცხადზე ორივე შემთხვევაში დადგინდა მსგავსება აპელანტის მიერ რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან. აპელანტის სამგანზომილებიანი ნიშნით დაცულია წითელ და თეთრ ფერში შესრულებული კვერცხი ამასთან თეთრი და წითელი ფერის საშუალებით კვერცხი გაყოფილია ორ ნაწილად. მსგავსი მახასიათებლები აქვს სადავო სასაქონლო ნიშანს, რომელიც ასევე არის კვერცხის ფორმის, ზუსტად იმავე პროპორციით, ორი იდენტური ფერით გაყოფილია ორ ნაწილად, სადავო სასაქონლო ნიშანი, აპელანტის სასაქონლო ნიშნისგან განსხვავებით, სწორი ზოლით ყოფს კვერცხს ორ ნაწილად, თუმცა ეს განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ აადვილებს მომხმარებლის მხრიდან სასაქონლო ნიშნების გამიჯვნას. შესაბამისად, აპელანტი აცხადებს, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი მისი სასაქონლო ნიშნის მსგავსია.

პროდუქციის მსგავსების კუთხით აღსანიშნავია, რომ როგორც სადავო, ასევე აპელანტის სასაქონლო ნიშნები გამოიყენება იდენტურობამდე მსგავსი საქონლისათვის, კერძოდ ბავშვებისათვის დამზადებული ტკბილეულის აღსანიშნავად, რომელიც ერთი ფორმის ტიპისა და აღწერილობის შეფუთვაში არის მოთავსებული; ორივე საქონელი, ეფუძნება ე.წ სიურპრიზის პრინციპს. ტკბილეულის შეფუთვა, რომლის გახსნის შემთხვევაშიც მომხმარებელი აღმოაჩენს სიურპრიზს სათამაშოში, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე თანდართული ფოტომასალა, კიდევ ერთხელ ადასტურებს პროდუქტებს შორის არსებით მსგავსებას, რაც ზრდის სასაქონლო

ნიშნებს შორის აღრევადობის შესაძლებლობას. ამასთან, სადავო სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია ნიცის კლასიფიკაციის 28-ე და 30-ე კლასებისათვის.

მოწინააღმდეგე მხარე, წერილობით პოზიციაში ყურადღებას ამახვილებს სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული გარემოებებზე, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე სადავო სასაქონლო ნიშანზე 2014 წლის 29 ოქტომბერს მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებაზე. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, გაუქმდა იმის გამო, რომ **ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ექსპერტი ვერ გაერკვა მოცულობით სასაქონლო ნიშანზე ატარებდა ექსპერტიზას თუ გამოსახულებითზე.** გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარე აღნიშნავს, რომ აპელანტის წარმომადგენელი სააპელაციო პალატაში მიუთითებს, რომ სადავო სასაქონლო ნიშანზე განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტიზამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, ხოლო მსგავს სასაქონლო ნიშანზე უარყოფითი. მოწინააღმდეგე მხარე იზიარებს აპელანტის წარმომადგენლის გაკვირვებას, ოღონდ საპირისპირო კონტექსტში. ის თვლის, რომ ორივე განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული. ამდენად, ეს გარემოება კიდევ ერთხელ წარმოადგენს იმის დასტურს, რომ საქპატენტში უნდა შეწყვიტოს არსებობა არასწორმა პრაქტიკამ, როდესაც ერთი განმცხადებლის მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მსგავსი სასაქონლო ნიშნების განაცხადების განხილვა ნაცვლად იმისა, რომ ევალუბოდეს ერთ ექსპერტს, ნაწილდება სხვადასხვა ექსპერტებს შორის. პირველ რიგში, ეს სავსებით არარაციონალურია (მსგავსი ძიების ორჯერ ჩატარების და ექსპერტების ძვირფასი დროის ხარჯვის კუთხით), ხოლო კარგად ჩამოყალიბებული მიდგომების (პრაქტიკის) არ არსებობის, ექსპერტთა გამოუცდელობის, საქპატენტის ადმინისტრაციის კანონზე დამყარებული ლიბერალური მიდგომის და ექსპერტიზის პროცესში არ ჩარევის ფონზე, იწვევს მსგავს გაუგებრობას. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ორგანოზომილებიანი და სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნების შედარება შესაძლებელია იგივე კრიტერიუმით, როგორც მაგალითად, ორგანოზომილებიანი სასაქონლო ნიშნების დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტი არის კვერცხის გამოსახულება. რომელსაც აქვს პირი, თვალები, ხელები და ფეხები. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების კვერცხის გამოსახულება შესრულებულია მსგავს ფერებში, მსგავსი განლაგებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული ნიშნები ქმნიან მსგავს საერთო შთაბეჭდილებას, რაც გამოიწვევს მათ აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი და გამოსახულებითი

ელემენტები, კერძოდ, სიტყვიერი აღნიშვნა, თეთრი წვერი, წითელი ფერის ხელთათმანები, შავი ქამარი და წითელი გული ვერ სძენს მას იმ დონის განმასხვავებლობას, რომ არ მოხდეს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების არევა. ასევე, მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, რაც წარმოადგენს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და შესაბამისად, არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული მოცულობითი (სამგანზომილებიანი) გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი არის კვერცხის გამოსახულება შესრულებული თეთრ და წითელ ფერებში.

მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების კვერცხის გამოსახულება და ფერთა განლაგება მსგავსია, მაგრამ განცხადებული სასაქონლო ნიშნის დამატებით გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტები (პირი, თეთრი წვერი, თვალები, ხელები, ფეხები, წითელი ქუდი. წითელი ფერის ხელთათმანები, წითელი გული და სიტყვიერი ნაწილი) სძენს მას იმ დონის განმასხვავებლობას, რომ არ მოხდეს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევა.

რაც შეეხება განცხადებული მოცულობითი (სამგანზომილებიანი) სასაქონლო ნიშნის მსგავსებას, კოლეგიას მიაჩნია რომ აღნიშნული დაპირისპირებული ნიშნები არ წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება მხოლოდ სიტყვიერი ელემენტისაგან, რომელიც შესრულებულია ლათინური ასოებით. შავ და წითელ ფერებში. კერძოდ, პირველი ასო „X“ შესრულებულია შავ ფერში, ხოლო დანარჩენი სიტყვიერი ელემენტი „Kimdi“ შესრულებულია ლათინური ასოებით. წითელ და ყვითელ ფერებში, კერძოდ, პირველი ასო „X“ შესრულებულია წითელ ფერში, ხოლო დანარჩენი ასოები „imdi“ ყვითელ ფერში. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება 5 ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი 6 ასოსაგან, მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების პირველი, მეორე და მეოთხე ასოები, ხოლო დანარჩენი ასოები განსხვავებული, ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ელემენტები განსხვავდებიან ვიზუალურად ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ელემენტები განსხვავდებიან ფონეტიკურად. კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „კიმი, ხოლო დაპირისპირებული, როგორც „კინდერს“ გარდა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერ ელემენტებს შორის არსებული განსხვავებისა, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს

გამოსახულებით ელემენტებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ შორის განსხვავებას. სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.<sup>14</sup>

მოცემული გადაწყვეტილებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა დამოკიდებული არ არის მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო დებულებებზე და მის შინაარსზე. ექსპერტიზა არის სასაქონლო ნიშნის შემოწმების ის ნაწილი, სადაც თავმოყრილია, როგორც საკანონმდებლო ისე საზოგადოებრივი და ადამიანური ფაქტორი, რომლის გათვალისწინებით ექსპერტები იღებენ გადაწყვეტილებას, სწორედ ამიტომ მიჩნეულია, რომ ექსპერტიზა უმეტეს წილად დამოკიდებულია ადამიანურ ფაქტორზე და საზოგადოებრივ სექტორზე თუ, რომელ სექტორში რა დამოკიდებულება და რა პრეისტორიაა შესაბამის სასაქონლო ნიშანთან. შესაბამისად ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, შესაცვლელია მიდგომა იმ პრაქტიკის, რაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას იყენებენ, კერძოდ ლოიალურობას და გამარტივებას, რადგან შესაძლოა ამან დიდი ან/დაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს რომელიმე კერძო სუბიექტს.

## 2.2 რეგისტრაციაზე უარის თქმის ფორმალური და მატერიალური საფუძვლები

სასაქონლო ნიშანზე უფლების წარმოშობა უკავშირდება ნიშნის რეგისტრაციას, რეგისტრაციის შემდგომ კი ხდება შენი უფლებების სრული რეალიზება, მაგრამ ნიშნის რეგისტრაცია არც თუ ისე მარტივი და სწრაფი საკითხია. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას ახორციელებს „საქპატენტი“, ხოლო რეგისტრაციის საფუძველი, როგორც ვახსენეთ არის განცხადება, რომელიც უნდა იყოს შევსებული ქართულ ენაზე, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს უცხოურ ენაზეც შევსებული, მაგრამ თან უნდა ერთვოდეს თარგმანი, ასევე განმცხადებლის სრული სახელი, წარმომადგენლის სრული სახელი და ხელმოწერა, მოთხოვნების გათვალისწინებით, საქპატენტი უფლებამოსილია დამატებით კიდევ მოითხოვოს წარსადგენი დოკუმენტები, რომლის ვადები და პირობები განსაზღვრულია კანონმდებლობით, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, ეს

---

<sup>14</sup> საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ გადაწყვეტილება N20-03/15; ქ. მცხეთა; 16/04/2015

განცხადება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შეტანილად თუ ის აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს და კონკრეტულ ნიშანზე პრიორიტეტის თარიღს ვერ დავაფიქსირებთ.

საქართველოში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის ორი საფუძველი არსებობს: აბსოლიტური და შედარებითი საფუძველები. აბსოლიტური საფუძველი ნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშანი უნდა აკმაყოფილებდეს სააქონლო ნიშნისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების, რომელ კრიტერიუმებსაც კანონი განმარტავს. მაგალითად სასაქონლო ნიშანი ვერ დარეგისტრირდება თუ ის არ აკმაყოფილებს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-3 მუხლს: **სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით,**<sup>15</sup> მაგრამ ამ ძირითადი საფუძველების გარდა, ასევე არსებობს ისეთი საკითხებიც, რომელიც მიუხედავად იმისა აკმაყოფილებს თუ არა ამ ყველა თვისებას სასაქონლო ნიშანი, კანონმდებლობამ შეიძლება მაინც არ მისცეს უფლება განმცხადებელს დაარეგისტროს სასაქონლო ნიშანი, მაგალითისთვის სასაქონლო ნიშანი შეიძლება გამოყენებული იყოს ასო ციფრი ან/და ფერი, მაგრამ ცალკე განყენებულად აღებული როგორც ფერი ან/დაც კიდევ ასო და ციფრი, რომელიც ერთად აღებული არის არასტაბილიზებული (სტანდარტული) სიმბოლო. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მეოთხე მუხლის 1 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად უარის თქმის აბსოლუტური საფუძველია თუ ნიშანი: **„წარმოადგენს ერთ არასტაბილიზებულ (სტანდარტულ) ასოს ან ციფრს, ან ცალკე აღებულ მხოლოდ ერთ ფერს“**, რადგან ის ისედაც არსებობს ბუნებაში და მისი მითვისება როგორც საკუთარ სასაქონლო ნიშნად შეუძლებელია.<sup>16</sup>

სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი ამომწურავად აღწერს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგი საფუძველი ბადებს კითხვის ნიშნებს და როგორც წესი, ამ საფუძველის შინაარსი გარდამავალია, რადგან მიბმულია ქვეყნის ტრადიციებს, საზოგადოებრივ წესსა თუ რელიგიას, ამ მხრივ ყველაზე საინტერესო საფუძველია სასაქონლო ნიშნის შესახებ კანონის მეოთხე მუხლის 1 პუნქტის (ზ) ქვეპუნქტი: **შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;** ამ

<sup>15</sup> დავით მამუკაშვილი, დიმიტრი მამუკაშვილი, საქართველოს კანონი "სასაქონლო ნიშნების შესახებ" კომენტარები, გამომცემლობა სანი, 2004

<sup>16</sup> სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი მე-4 მუხლი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=7#!> , ბოლო ნახვის თარიღი 21/06/2020

საფუძვლიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიშნის რეგისტრაციისგან მარეგისტრირებელი ორგანო არამხოლოდ ფორმალურ და მატერიალურ ნორმებს გამოიყენებს არამედ განსაზღვრავს თუ ეს ნიშანი, რამდენად რელევანტურია შესაბამისი ორგანოში რეგისტრაციისას, რადგან შემდგომში არ წარმოიშვას იმ ღირსებების და ტრადიციების შელახვა, რომელიც გააჩნია სახელმწიფოს. ერთ-ერთი ასეთი უარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განახორციელა საქპატენტმა, ეს არის ღვინის ბოთლზე დატანილი საბჭოთა კავშირის მეთაურის „სტალინის“ ბიუსტი აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ისტორიაში სტალინი, როგორც ფიგურა ასახულია როგორც სირცხვილი იმ რეჟიმის, რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა. შესაბამისად ეს პირდაპირ უთითებს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მეოთხე მუხლის დარღვევა, რადგან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს და ტრადიციებს.

ამ საფუძვლების გამოყენება უფრო რთულდება თუ საქმე გვაქვს კოლექტიურ სასაქონლო ნიშანთა, რაც გულისხმობს, რომ კოლექტიური ნიშნის მფლობელია არა რომელიმე მეწარმე, არამედ მეწარმეთა გაერთიანება (ასოციაცია), რომლის წევრებიც იყენებენ მას, რათა მომხმარებელმა მათი პროდუქცია გააიგივოს გაერთიანების მიერ დადგენილი ხარისხის დონისა და სხვა მახასიათებლების, მათ შორის, გარკვეული გეოგრაფიული წარმოშობის მქონე პროდუქციასთან. ამ შემთხვევაში კანონი იყენებს არამხოლოდ აბსოლიტურ ნორმების საფუძვლებს, არამედ შედარებითი უარის თქმის საფუძვლებს, ხოლო ამ მხრივ გამოყოფილია სამი კრიტერიუმია, ესენია: ვიზუალური მსგავსება, ფონეტიკური მსგავსება და სემანტიკური მსგავსება. ვიზუალური მსგავსების კრიტერიუმში მთავარი ნიშანი არის, რომ სასაქონლო ნიშნები ვიზუალურად არ უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს, ვიზუალში იგულისხმება ფერი შტრიხები ფორმა და ა.შ. ვიზუალური მსგავსება პირველი კრიტერიუმია, რადგან ადამიანი პირველ რიგში აღიქვამს ფერებს და მის ფორმას თუ როგორი მიმზიდველია პროდუქტზე დატანილი სასაქონლო ნიშანი, შესაბამისად ვიზუალს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მწარმოებლები და ამის გამო სასაქონლო ნიშნის დაცვის კუთხითაც დიდ ყურადღებას იმსახურებს. შემდეგი არის ფონეტიკური მსგავსება (სიტყვიერი მსგავსება) ალბათ ყველას შეგვხვედრია ამ მხრივ ისეთი პროდუქტი, რომელიც მართალია ერთი შეხედვით ჰგავს იმ პროდუქტს, რომელიც ჩვენს გვსურს, რომ შევიძინოთ, მაგრამ თუ დავაკვირდებით სულ სხვა ბრენდი და სასაქონლო ნიშანია, ასეთია, მაგალითად “Adidas” ნიშნის მაგივრად “adiadis”, ნიშნის “Nike” ნაცვლად “Hike” და იდეც სხვა მრავალი, რომელიც მართალია შინაარსობრივად განსხვავდება, მაგრამ სიტყვათა თანწყობა და ვიზუალური ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რომელიც შესაძლებელია საზოგადოებაში გამოიწვიოს ასოციაცია, აღრევა შესაბამისი საქონლის

მიმართ, ხოლო შემდეგი კრიტერიუმია სემანტიკური მსგავსება, რომელიც მართალია პროდუქცია სხვა იყო, მაგრამ შინაარსობრივად სასაქონლო ნიშანი ერთმანეთს იმდენად ჰგვანან, რომ ადამიანს რჩება შთაბეჭდილება თითქოს ეს სწორედ იმ სასაქონლო ნიშნის ქვეშ დამზადებული პროდუქციაა და აღრევა ხდება შესაბამის სასაქონლო ნიშანთან, ამიტომ ყოველი ასეთი შეცდომის და საზოგადოებაში ასოციაციის აღრევის პროცესი, რომ შეჩერდეს და ბაზარი არ იყოს დაუმორჩილებელი საჭიროა თითოეული კრიტერიუმი კარგად შემოწმდეს.

სემანტიკური მსგავსების კრიტერიუმის მხრივ საინტერესო გადაწყვეტილება აქვს მიღებული მხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, სადაც მოსარჩელეს წამოადგინდა „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენი“ , ხოლო მოპასუხე და მესამე პირი „საქპატენტი“ და კომპანია“ გალფ ოილ მარკეტინგ გმბჰ“. აღნიშნულ დავაში მოსარჩელე მოითხოვდა ბრძანებისა და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და ასევე სასაქონლო ნიშნის „GULFSTREEAME“ დარეგისტრირებას განცხადებული საქონლის და მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ.

მოსარჩელემ სარჩელით განმარტა, რომ მადრიდის შეთანხმების ოქმის თანახმად, „საქპატენტში“ რეგისტრაციისთვის წარადგინა საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „GULISTREAME“, ხოლო საქპატენტის მიერ წარდგენილ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა საქართველოში გავრცელებაზე. იმ მოტივით, რომ ის მსგავსია უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე კომპანია „გალფ ოილ მარკეტინგ გმბჰ“-ის კუთვნილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „Gulf“ მიმართ. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა სააპელაციო პალატაში, რომელმაც ძალაში დატოვა გასაჩივრებული ბრძანება აღნიშნული კი მოსარჩელეს მიაჩნია უკანონოდ და ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას, რადგან ფიქრობს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არის აღრევამდე მსგავსი. მოპასუხე 2014 წლის 26 აგვისტოს წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელით მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, იმ მოტივით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსია და ეს გარემოება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

კომპანია „გალფ ოილ მარკეტინგ გმბჰ“ არის 2012 წლის 12 ივლისს რეგისტრირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის - „Gulf“-ის მფლობელი, რომელსაც მინიჭებული აქვს დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე მე-12 კლასის საქონლის ნაწილის - „სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები“ „აპარატები ხმელეთ/ზე. ჰაერში და წყალზე გადასაადგილებლად“ - მიმართ.

კომპანია „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენ“-მა 2012 წლის 13 დეკემბერს განაცხადით მიმართა სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტს“ და მადრიდის შეთანხმების ოქმის თანახმად, მოითხოვა სასაქონლო ნიშნის „GULFSTREAME“ მე-12-ე კლასის საქონლის ნაწილის - თვითმფრინავების მიმართ. სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების არსობრივი ექსპერტიზის 2014 წლის 15 იანვრის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი, „GULFSTREAME“ ჟღერადობით მსგავსია კომპანია „გალფ ოილ მარკეტინგ გმპ“-ის სახელზე მე-12 კლასში რეგისტრირებული ნიშნისა „Gulf“. დაპირისპირებული ნიშნების მთავარი სიტყვიერი ნაწილი „GLILF“ იდენტურია, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკს მე-12 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის, რის გამოც განცხადებულ სასაქონლო ნიშანი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი უნდა განეცხადებინათ დაცვის მინიჭებაზე. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, საქპატენტის მიერ გამოცემული ბრძანებით, კომპანია „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენ“-ის კუთვნილ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GULFSTREAME“ უარი ეთქვა დაცვაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

მიუხედავად ამისა, საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომპანია „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენ“-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, მაგრამ სასამართლო მიიჩნევს რომ კომპანია „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენ“-ის და მესამე პირის სასაქონლო ნიშნები გავს ერთმანეთს, თუმცა მიუხედავად ამისა ნიშნები არ შეიძლება ჩაითვალოს აღრევამდე მსგავსად, რადგან კომპანია „გალფ ოილ მარკეტინგ გმპ“ არის 2012 წლის 12 ივლისს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის - „Gulf“-ის მფლობელი, რომელსაც მინიჭებული აქვს დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე მე-12 კლასის საქონლის ნაწილის მიმართ. მესამე პირის სასაქონლო ნიშანი მე-12 კლასში მოიცავს „აპარატებს ხმელეთზე, ჰაერში და

წყალზე გადასაადგილებლად“ მომსახურებას. ამ კლასში მოსარჩელე მოითხოვს რეგისტრაციას მხოლოდ თვითმფრინავების მიმართ და მოსარჩელემ განმარტა, მისი მარწმუნებელის მიერ წარმოებული თვითმფრინავების ღირებულება რამდენიმე მილიონი დოლარიდან იწყება. სასამართლო მიუთითებს მხარეებს, რომ როდესაც მომხმარებელი საქონელში იხდის მილიონებს, ბუნებრივია ამ დროს ის გადაწყვეტილების მიღებისას იჩენს განსაკუთრებულ წინდახედულობას. ასეთ დროს იმის ალბათობა, რომ მომხმარებელს კომპანია „გალფ ოილ მარკეტინგ გმპზ“-ის სასაქონლო ნიშანი „Gulf“ (კომბინირებული) აერიოს მოსარჩელის საერთაშორისო |სასაქონლო ნიშანში „GLT/STREAME მინიმუმადე მცირდება.

სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ იმის მაგალითია, რომ სასაქონლო ნიშანს როგორც ცალკე აღებული „სასაქონლო ნიშანი“ არ უნდა შევადაროთ ცალკე აღებულ „სასაქონლო ნიშანს“ , რადგან სასაქონლო ნიშნი არ არის განყენებული კომპანიისგან და მისი საქმიანობისგა, სწორედ ამიტომ შედარებითი საფუძვლის გამოყენებისას არ უნდა იქნეს მხედველობაში მხოლოდ სასაქონლო ნიშნების შედარება, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტორები, რომეიც ამ ნიშნებს სძენს ბუნებრივობას და განმასხვავებელუნარიანობას.

## 2.3 საყოველთაოდ აღიარებული ნიშანი და ადგილწარმოშობის ნიშნები

სასაქონლო ნიშანზე უფლების მოპოვება ხდება მისი რეგისტრაციის შედეგად , რომლის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის მესაკუთრე მოიპოვებს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე და შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსი ან იდენტურია. შესაბამისად, ამ უფლების რეგისტრაცია უმნიშვნელოვანესია სასაქონლო ნიშნის სრულფასოვანი რეალიზებისა და დაცვისთვის, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა, პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება (TRIPS) (მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ

სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციის გარეშე იყოს დაცული და სასაქონლო ნიშნის მესაკუთრემ მოიპოვოს იგივე განსაკუთრებული უფლებები, რაც რეგისტრაციის შემდეგ ეძლევა მას. ეს ყველაფერი ეხება ისეთ სასაქონლო ნიშნებს, რომელიც მიჩნეულია საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნად. საქართველოს კანონმდებობა ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს და იცავს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს და აღიარებს საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნებს და იცავს მათ რეგისტრაციის გარეშე. საქართველოში სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ აღიარება ხდება სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებული პირის მოთხოვნით.<sup>17</sup>

სამართლის თეორიაში საყოველთაო აღიარებისთვის ნორმატიული აქტით დადგენილი კრიტერიუმები ორი სახის არსებობს, ესაა: სასაქონლო ნიშნის ცნობადობა საზოგადოების შესაბამის სექტორში და სასაქონლო ნიშნის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებული ცნობადობა. საყოველთაოდ აღიარებულად ცნობა, სიტყვიდან გამომდინარეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი აღიარება ხდება საზოგადოების და მის შესაბამის სექტორებში ცნობადობის მიხედვით, მაგრამ ისმის კითხვა რა შეიძლება მიჩნეულ იქნას საყოველთაოდ ცნობილად ეს არის ტერიტორიული გავრცელების არეალი, საზოგადოების და მომხმარებლის რაოდენობა, თუ უბრალოდ საქმიანობის ხანგრძლივობა. ამ სფეროში, როგორც პრაქტიკამ აჩვენა საყოველთაოდ აღიარებისთვის ცალსახა პრაქტიკა არ არის დანერგილი, ამ მხრივ პრიორიტეტი ენიჭება ისეთ სასაქონლო ნიშნებს, რომლებიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილ კრიტერიუმებს და არა მხოლოდ მათ, არამედ სხვა დამატებითი ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, რომ ეს ნიშანი არის საყოველთაოდ აღიარებული. საქართველოში ამ სფეროში მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სასაქონლო ნიშანი, „ნატახტარი“, რომლის რეგისტრაციის დროსაც წარმოდგენილი იყო კომპანიის სს „ლომისს“-ის მიერ განხორციელებული რადიო და სატელევიზიო სარეკლამო ღონისძიებების მოცულობის ანგარიში, რომელიც ასახავდა თუ რამდენი დრო დაეთმო სატელევიზო ეთერში მის რეკლამას და რა პერიოდულობით ხდებოდა რეკლამის გაშვება, ასევე წარმოდგენილი იყო ბილბორდებით განხორციელებული სარეკლამო ღონისძიებების მოცულობა, თუ რამდენ ბილბორდზე იყო გამოსახული სასაქონლო ნიშანი „ნატახტარი“, რამდენი აქციზი ჰქონდა შექმნილი წლების განმავლობაში და როგორი იყო მისი გაყიდვების რაოდენობა, როგორც

<sup>17</sup> კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=7> ბოლო ნახვის თარიღი 21/06/2020

კვარტლურად ისე წლების მიხედვით. შესაბამისად ამ პროცედურების გავლის და რიგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ სასაქონლო ნიშანი „ნატახტარი“ დღესდღეობით არის დაცული, როგორც საყოველთაოდ აღიარებული სასაქონლო ნიშანი<sup>18</sup>. უნდა აღვნიშნოთ, რომ საყოველთაოდ აღიარებული ნიშნების უფლების დარღვევა ყველაზე რთული და კომპლექსურია, რადგან საყოველთაოდ ნიშნის ქვეშ კონტრაფრაქციული პროდუქტის გაყიდვა ყველაზე შესამჩნევი და თვალსაჩინოა, რადგან მომხმარებელმა უკვე იცის ეს სასაქონლო ნიშანი და მისი პროდუქცია, შესაბამისად ამ კუთხით საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ჭრილში არც თუ ისე ბევრი პრობლემატური საკითხია წამოჭრილი. გამომდინარე აქედან, მეტი დრო უნდა დავუთმოთ იმ სასაქონლო ნიშნების დაცვას, რომლებიც არც თუ ისე ცნობადია საქართველოში, მაგრამ ვფიქრობ, ახლო მომავალში თუ დაცული იქნება მათი უფლებები შესაძლოა ბევრ საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშანსაც კი გაუწიოს კონკურენცია.

## **თავი III საკანონმდებლო სივრცე და სასამართლო გადაწყვეტილებები**

### **3.1 საქართველოს კანონმდებლობა და სასაქონლო ნიშნების ადგილი კანონმდებლობაში**

როგორც აღვნიშნეთ, სასაქონლო ნიშანი მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს ჩვენს ცხოვრებაში, რადგან ყოველდღიურად ჩვენ ვიძენთ ისეთ ნივთებს და ვიღებთ მომსახურებას, რომელიც აუცილებელია ჩვენთვის. ამ ნივთების შეძენა და მომსახურების მიღება კანონმდებლობის დონეზე რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის მიერ, რომელიც ძირითადი კერძო სუბიექტებს შორის დავის გადაწყვეტის საშუალებაა, სამოქალაქო კოდექსი არ არის

---

<sup>18</sup> იხ. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის 2010 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება საიდენტიფიკაციო N47690/3

ამომწურავი და მასში სპეციფიური საკითხები არ არის გაწერილი, მაგრამ მასთან ერთად სხვა კანონების გამოყენება სრულყოფილს ხდის სამოქალაქო კერძო ურთიერთობებს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი და დამხმარე კანონია ჩვენთვის ცნობილი “სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასაქონლო ნიშანზე უფლების მოპოვება ხდება ნიშნის რეგისტრაციის შემდგომ, მაგრამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია თუ როგორ უნდა დავიცვათ ეს უფლება და როგორ უნდა მოვახდინოთ მისი რეალიზება.

სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის III თავი მთლიანად დათმობილია სასაქონლო ნიშნის გამოყენება და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემაზე. სასაქონლო ნიშნის შესახებ კანონის 24-ე მუხლის თანახმად: „სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ისეთი ქმედებები, როგორცაა მისი აღბეჭდვა იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, ასევე ამ საქონლის შეფუთვაზე, გამოფენასა და ბაზრობაზე წარმოდგენილ ექსპონატებზე, აბრაზე, ოფიციალურ ბლანკზე, ეტიკეტზე, რეკლამაში, ბეჭდვით გამოცემაში, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სხვაგვარი გამოყენება მფლობელის, ლიცენზიატის ან მესამე პირის მიერ მფლობელისაგან მინიჭებული უფლების საფუძველზე. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ნაცვლად მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ნიშნის გამოყენებაც“<sup>19</sup> ბუნებრივია, სასაქონლო ნიშანი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტი, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მისგან მიიღება ის მატერიალური სიკეთე, რაც მნიშვნელოვანია ბაზარზე ლიდერობის მოსაპოვებლად, ამიტომ მისი რეგისტრაცია არა უბრალოდ ნიშნის რეგისტრაციისთვის, არამედ სასაქონლო ნიშნის რეალიზების მიზნით ხდება. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან წარმოშობილი უფლებების და საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია კანონმდებლობის მიხედვით სასაქონლო ნიშანი გადაეცემა სხვა პირს საწარმოსთან ერთად ან მის გარეშე. გადაცემაში შესაძლებელია ასევე ვიგულისხმოთ ლიცენზიის გაცემა სხვა პირზე, რომელიც ლიცენზიარის ნებართვით ლიცენზიატი სარგებლობს იგივე უფლებებით, რაც გააჩნია, სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეს. ლიცენზია არის განსაკუთრებული ან მარტივი. მარტივი ლიცენზიის დროს ლიცენზიარი აძლევს სხვა პირს უფლებას გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი და ასევე, შეუძლია კიდევ მესამე პირსაც გადასცეს ასეთი ლიცენზია, მაგრამ განსაკუთრებული ლიცენზიის დროს ლიცენზიარი თვითონაც იზღუდავს თავს და არ შეუძლია დადოს კიდევ სხვა სალიცენზიო ხელშეკრულება.

---

<sup>19</sup> სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11482?publication=7#!>, ბოლო ნახვის თარიღი 21/06/2020

ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ სასაქონლო ნიშანი არის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტი, რომელზეც ვრცელდება ყველა ის უფლება და ვალდებულება, რაც წარმოშობილია ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლებისგან. შესაბამისად სანამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდება რომელიმე პირის სახელზე და ის მოიპოვებს ზემოთ აღნიშნულ უფლებებს, ამ ეტაპების გადალახვამდე მნიშვნელოვანია თვითონ სასაქონლო ნიშნის შექმნის ისტორიაც, რადგან სწორედ ესეც ხდება სადავო ინტელექტუალური სამართლის სფეროში. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო გადაწყვეტილება არის მიღებული საავტორო უფლებების დაცვის კუთხით სასაქონლო ნიშნის შექმნის პროცესში. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ, მოსარჩელე გახლდათ იასონ რეხვიაშვილი, ხოლო მოპასუხე „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“ (ბორჯომი). 1998 წლის 1 ივლისს ასოციაცია ქართულმა მინამ და მინერალურმა წყლებმა „საქპატენტში“ რეგისტრაციაში გაატარა კოლექტიური სასაქონლო ნიშანი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ოვალის ფორმის პეიზაჟი, წინა პლანზეა შადრევანი და კოლონებიანი ნაგებობა, ხოლო უკანა პლანზე მწვანით და თოვლით დაფარული მთები. პეიზაჟი შესრულებულია მწვანე, ვარდისფერი ცისფერი, ყავისფერი და თეთრი ფერებით, თვალის ზედა მხარეზე განთავსებულია წარწერა მავი საღებავით, ოქროსფერი კანტით, ლათინური შრიფტით BORJOMI, ქვედა ნაწილში განთავსებულია წარწერა ქართული შრიფტით „ბორჯომი, რომლის ქვევითაა წარწერა ბორჯომი რუსულ ენაზე. მოსარჩელე კი მოითხოვს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად აკრძალოს მოპასუხეს სასაქონლო ნიშანზე გივი გულისაშვილის მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოების გამოყენება და დაეკისროს კომპენსაცია 4 000 000 ლარის ოდენობით. სასარჩელო მოთხოვნებს მოსარჩელე ამყარებს შემდეგ გარემოებებზე, რომ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გივი გულისაშვილმა შექმნა ბორჯომის მინერალური წყლის საყოველთაოდ ცნობილი ეტიკეტის ორიგინალური ესკიზი. ეტიკეტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ცენტრალურ ნაწილში განთავსებული პეიზაჟი პეიზაჟის ქვედა ნაწილში გამოსახულია შადრევანი, რომელიც ამოედინება წრიული აუზიდან. აღნიშნულ აუზს გარშემო ორი ერთმანეთისაგან დაშორებული წრიული გარსის გარშემორტყმული, შადრევნისაგან მარცხნივ გამოსახულია ორი, ერთი იდი და მეორე შედარებით მომცრო ზომის შენობა. შენობის უკანა მხარეს გამოსახულია ხე (პეიზაჟის უკიდურეს მარცხენა კიდეში), მეორე ხე გამოსახულია შენობის უკანა მარჯვენა მხარესაც, რომელიც პირველთან შედარებით მომცრო ზომისაა, შადრევნიდან ხელმარჯვნივ (პეიზაჟის უკიდურეს მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ხე. შენობის უკანა ფონზე გამოსახულია მთა, რომლის ფერდობზე ვერტიკალურად ეშვება თეთრი

ფერთს ლალი მთის ქვედა კალთა დამრეცი კუთხით ეშვება პეიზაჟის მარჯვენა შუა კიდეში, რომლის ფონზეც განლაგებულია რამოდენიმე ნაძვის ხე. პეიზაჟი მთლიანობაში შემოსაზღვრულია ოვალური გარსით, რომლის ხაზიც ბუნდოვანია, მოსარჩელის განმარტებით, ეტიკეტის ცენტრალურ ნაწილში გამოსახული პეიზაჟი არის მხატვრული ნაწარმოები, რომლის ავტორია გივი გულისაშვილი.

გივი გულისაშვილი გარდაიცვალა 1995 წელს და მისი ქონებრივი საავტორო უფლებები გადავიდა მის კანონისმიერ მემკვიდრეებზე მეუღლეზე ნინო გულისაშვილზე და შვილზე ვახტანგ გულისაშვილზე. 1999 წლის 16 ივნისის მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იასონ რეხვიაშვილს გადაეცა ნაწარმოების ავტორის განსაკუთრებული უფლებები, რის შედეგად ახლა აღნიშნულთ ეტიკეტის ესკიზის განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელი. 1999 წლის 2 ივლისს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტომ "რეგისტრაციაში გაატარა გივი გულისაშვილის მიერ შექმნილი ბორჯომის" მინერალური წყლის ეტიკეტის ორიგინალური ესკიზი, რის საფუძველზეც საქპატენტმა გასცა საავტორო უფლების დამადასტურებელი #27 სერტიფიკატი.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ აღნიშნული ეტიკეტით ათწლეულების განმავლობაში უკანონოდ სარგებლობდნენ ბორჯომის N#1 და #2 ჩამომსხმელი ქარხნები, რადგან არ არსებობს მათ მიერ საავტორო ქონებრივი უფლების მოპოვების იურიდიული საფუძველი. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის "ცნობის თანახმად 1935-83 წლების „საქმინხილწყალის" დოკუმენტებში ბორჯომის საყოველთაოდ ცნობილ ეტიკეტზე საავტორო უფლების რაიმე ფორმით გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების კოლექტიურ სასაქონლო ნიშნის ძირითადი შემადგენელი ნაწილია გივი გულისაშვილის მიერ შექმნილი ბორჯომის მინერალური წყლის ეტიკეტის ორიგინალური ესკიზი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მომენტისათვის ასოციაციას და არც მის შემადგენლობაში შემავალ კომპანიას არ შეეძლოთ სცოდნოდათ მათ მიერ ვინმეს საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი.

ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების" სახელზე 1998 წლის 1 ივლისს რეგისტრირებული კოლექტიური სასაქონლო ნიშანი მოიცავს გრაფიკულად გამოსახულ

სიმბოლოთა ერთობლიობას ნახატის გარდა კოლექტიური სასაქონლო ნიშანი შეიცავს მხოლოდ ქართული ლათინური და რუსული შრიფტებით შესრულებულ გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას - „ბორჯომი, რაც სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის თანხმად არის ცილკე დაცვის საგანი ასეთ ვითარებაში სადავო ნახატის გამოყენების აკრძალვის მოთხოვნა არსებითად წარმოადგენს მოთხოვნას კოლექტიური სასაქონლო ნიშნის სარგებლობის აკრძალვის შესახებ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის შესაბამისად სასაქონლო ნიშანი დაცულია საქპატენტში მისი რეგისტრაციის საფუძველზე და მის მფლობელს წარმოეშობა განსაკუთრებული უფლება ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კოლექტიური სასაქონლო ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრისათვის ამ ნიშნის (ან მისი შემადგენელი ნაწილის გამოყენების აკრძალვის შესაძლებლობას რომ პირობებში.

როცა კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმებული ან ბათილად არ არის ცნობილი. მოპასუხემ ასევე არ ცნო მოსარჩელის მოთხოვნა კომპენსაციის დაკისრების შესახებ და განმარტა, რომ კომპენსაციის მოთხოვნა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს, ზიანის ანაზღაურების ალტერნატიულ ფორმას. შესაბამისად იმისათვის, რომ მოსარჩელეს წარმოეშვას მოთხოვნის უფლება კომპენსაციაზე უნდა არსებობდეს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის წინაპირობები, მათ შორის შოპაუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება სადავო ნახატი, როგორც კოლექტიური სასაქონლო ნიშნი რეგისტრირებულია ასოციაცია ქართული მინა და მინერალური წყლების სახელზე, მოპასუხე ორგანიზაცია წარმოადგენს მითითებული გაერთიანების წევრს და სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად გააჩნია ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება. სასაქონლო ნიშნის გამოყენების ერთერთი ფორმა არის მისი აღბეჭდვა ეტიკეტზე, საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებენ გივი გულისაშვილის ავტორობას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის თანახმად ნაწარმოების „საქპატენტში“ რეგისტრაცია თავისთავად არ წარმოშობს ავტორობის პრეზუმფციას. ამ მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება

განახორციელოს „საქპატენტში“. დეკონირების შედეგად „საქპატენტის“ მიერ გაცემული მოწმობა ადასტურებს ნაწარმოების დეკონირების ფაქტს და არ წარმოშობს საავტორო უფლებებს. ამდენად, „საქპატენტის“ მიერ გაცემული მოწმობა არ ადასტურებს არც გივი გულისაშვილს ავტორობას და არც იასონ რეხვიაშვილის მიერ საავტორო უფლების ფლობის ფაქტს. უფრო მეტიც, არ წარმოშობს ავტორობის პრეზუმფციასაც. მოსარჩელემ კი ვერ წარმოადგინა მითითებული ნახატის ვერც დედანი და ვერ ასლი, რომელიც საფუძვლად დაედო „საქპატენტის“ მიერ მოწმობის გაცემას.

გივი გულისაშვილის ავტორობას არ ადასტურებს ასევე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ორი ესკიზი, რომელზეც ფანქრით გამოსახულია მოპასუხის კუთვნილ სასაქონლო ნიშანზე არსებულის მსგავსი ნახატი. არც ექსპერტიზის დასკვით და არც სხვა მტკიცებულებებით არ დასტუდება ესკიზის ფანქრით შესრულებულ ნაწილზე გივი გულისაშვილის ავტორობა.

მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ გივი გულისაშვილი მონაწილეობდა ბორჯომის ეტიკეტის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში და რომ ეტიკეტის დედანი განადგურდა მისი წარმოებაში ჩაშვების გამო, მიუთითებს, როგორც ავტორთან შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას. ისე ნაწარმოების დაკვეთით შექმნის ფაქტს, ამაზე მეტყველებს თვით ნაწარმოების დანიშნულებაც. იგი იმთავითვე მხოლოდ „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ქარხნების სასაქონლო ნიშნად შეიძლება ყოფილიყო გამიზნული. გადაწყვეტილებაში სადავო ნახატის ავტორის ვინაობის დადგენის გარეშე მიუთითებულია, რომ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის ან ასეთ ნიშანში გამოყენებული ხელოვნების ნიმუშის (ნაწარმოების ავტორის თანხმობის აუცილებლობას და რომ მესამე პირის ავტორობა არ წარმოადგენდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და ამ ნიშნით სარგებლობის დამაბრკოლებელ გარემოებას. შესაბამისად თუნდაც მოსარჩელე წარმოადგენდეს ავტორის უფლებანონაცვლეს, პრეიუდიციულად დადგენილია, რომ

სასაქონლო ნიშნის გამოყენებისათვის მოპასუხეს არ ესაჭიროება ავტორის, მით უფრო მისი უფლებამონაცვლის თანხმობა

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონი მართალია არ შეიცავს კონკრეტული მტკიცებულებების ჩამონათვალს, რომლებიც ადასტურებენ საავტორო უფლების წარმოშობას. მაგრამ ამავე კანონის მე-10 მუხლში განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში წარმოიშობა ავტორობის პრეზუმფცია. მოცემული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. რნიშნულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი არ არის გივი გულისაშვილის მიერ შექმნილი "სადავო ნაწარმოების ორიგინალი. ასევე მისი ასლი, რომელზეც გივი გულისაშვილი მითითებული იქნებოდა ავტორად. საქმეში არ არის წარმოდგენილი ის ნახატი, რაც საფუძვლად დაედო „საქპატენტში“ რეგისტრაციას მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ესკიზებიდან არც ერთზე მის ავტორად გივი გულისაშვილი მითითებული არ არის. ამ ესკიზებზე გივი გულისაშვილის ავტორობა ვერ დადგინდა ასევე სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით, გივი გულისაშვილის საავტორო უფლებას სადავო ნახატზე არ ადასტურებს. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი მხოლოდ ლიცენზიატს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახითა და ფარგლებში და მასვე ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირის მიერ. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ნაწარმოებზე განსაკუთრებული საავტორო უფლების გადაცემისას ლიცენზიის გამცემი პირის უფლება ასეთ ქმედებაზე დადასტურებული უნდა იყოს. ამგვარი ხელშეკრულებები დადება თავისთავად არ ადასტურებს. ლიცენზიის გამცემი პირის საავტორო უფლებას და იგი დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან და სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე სასამართლომ იასონ რეხვიაშვილი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

### 3.2 გადაწყვეტილება და მისი აღსრულება

სამართლის თეორია და ზოგადად სამართლის ფილოსოფია მიმართულია იმისკენ, რომ საზოგადოების ცხოვრება და მათი ურთიერთობა ისე დარეგულირდეს, რომ სამართლის დებულებები იდეალურად ერგებოდეს მათი ცხოვრების სტილს და არჩევანს, მაგრამ რაც არ უნდა იდეალურად მოგვეჩვენოს კანონმდებლობა და სასამართლო გადაწყვეტილებები, მათი აღსრულების გარეშე ჩვენი მსეჯლობა და თეორიები მხოლოდ და მხოლოდ ტყუილი დროის კარგვაა, რადგან ეს შედეგის მომტანი არ არის. სასაქონლო ნიშნების უფლების აღსრულების

წინაპირობები გნსაზღვრულია , სასაქონლო ნიშნის შესახებ კანონის მე-6 მუხლში და ეს არის რეგისტრირებული ნიშანი, რომლითაც განმცხადებელი მოიპოვებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, რის საფუძველზეც მესამე პირებს უკრძალავს თავისი სასაქონლო ნიშნის იდენტური, ანდა მსგავსი ნიშნის გამოყენებას, ისეთი პროდუქტის გამოყენებას, რომელი მომხმარებელში ასოციაცია აღრევას გამოიწვევს.

სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი პირდაპირ განმარტავს თუ როგორ უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვა და აღსრულება. უფლების დარღვევისას პირველი, რაც შეიძლება მოითხოვოს განსაკუთრებული უფლების მქონე პირმა ეს არის უფლების დამრღვევის ქმედების შეწყვეტა, რაც შეიძლება გულისხმობდეს ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის შეფუთვის ან/და სარეკლამო განცხადების განადგურებას, ასევე ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილ მატრიცების ან კლიშეების განადგურებას, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის განცალკევება ვერ ხდება უშუალოდ საქონლისაგან განსაკუთრებული უფლების მქონე პირს ასევე შეუძლია ამ საქონლის განადგურებაც მოითხოვოს. როგორც უკვე აღინიშნა სამოქალაქო კოდექსი არის ზოგადი კანონი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლის მეშვეობითაც კერძო სამართლებრივ დავას ვიწყებთ სასამართლოში, მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის უფლების დარღვევისას ასევე, ვიყენებ სამოქალაქო კოდექს. კერძოდ ზიანის ანაზღაურების მომენტში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებში, გამოიყენება ასევე კერძო სამართლის პრინციპი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასთან დაკავშირებით, შესაბამისად განსაკუთრებული უფლების მფლობელს უნდა აღუდგეს ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაც მას ექნებოდა, რომ არა უფლების დამრღვევის ქმედება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ სასაქონლო ნიშნების ბრუნვა ხდება ბიზნესში, სადაც მთავარი მოგების მიღებაა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასთან ერთად ხდება მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნაც, მაგრამ ზიანის ანაზღაურება მიზნად ისახავს არა უფლებების დამრღვევის დასჯას, არამედ განსაკუთრებული უფლებების მფლობელის უფლებების აღდგენას. შესაბამისად ზიანის ანაზღაურების მომენტში ყოველთვის მტკიცების ტვირთი არის უფლების მფლობელზე და მან უნდა ამტკიცოს თუ რა ზიანი მიადგა უფლების დამრღვევის ქმედებიდან გამომდინარე ან/და რა მოგებას ნახავდა მომავალში, სადაც უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უფლების დარღვევასა და მიუღებელ სარგებელს შორის.

სასაქონლო ნიშანი არის არამატერიალური ქონება, რომელის მეშვეობით პირს შეუძლია მიიღოს მატერიალური სიკეთე. სასაქონლო ნიშნის გამოყენება, როგორც, ნაშრომის თავშიც

აღნიშნეთ, არის არა მხოლოდ მნიშვნელოვანი განსაკუთრებული უფლების მქონე პირისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც, რომელიც ყიდულობს ანდა იღებს შესაბამის მომსახურებას. გამომდინარე აქედან თუ აღნიშნული ფაქტი გვაქვს სახეზე, სადაც ხდება სასაქონლო ნიშნის უნებართვო გამოყენება ან/და კონტრაფაქციული პროდუქტის დამზადება, კანონმდებლობა არა მხოლოდ კერძო პირის უფლებამოსილებას საზღვრავს, რომელსაც შეუძლია მოსთხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება, არამედ სახელმწიფოსაც ავალებს ასეთი ქმედების გამოვლენის შემთხვევაში იმოქმედოს და შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს, მაგალითად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158 მუხლის თანახმად: „სხვის სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, აგრეთვე, სხვის სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.

სახელმწიფოს აქვს ერთგვარი ვალდებულება თავისივე ინიციატივით ფაქტის გამოვლენისას დააჯარიმოს დამრღვევი, მაგრამ თუ აღნიშნული დარღვევით გამოწვეული ზიანი არის დიდი ოდენობით ან მნიშვნელოვანი ზიანის მიმყენებელი ამ შემთხვევაში, არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოხდება პირის დაჯარიმება, არამედ ეს საქმე უკვე სისხლის სამართლით დასჯადი ქმედებაა და ისჯება, ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაო ორწლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით, მოცემულ შემთხვევაში კი დიდი რაოდენობით ითვლება პროდუქტის საერთო რაოდენობა 1 000 ერთეულზე მეტი და მნიშვნელოვან ზიანად ითვლება 5 000 ლარზე მეტი ზიანის მიყენება.

სასაქონლო ნიშნის ბოროტად გამოყენება არა მხოლოდ განსაკუთრებული უფლებების მქონე პირის ზიანს გამოიწვევს, არამედ შესაძლოა გამოიწვიოს უფრო დიდი და საფრთხის შემცველი ზიანიც. ეს არის სასაქონლო ნიშნების სფეროში ყველაზე გავრცელებული და ამავე დროს ყველაზე ძნელად აღსაკვეთი საკითხი სასაქონლო ნიშნის „კონტრაფაქცია“. კონტრაფაქცია არის ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდააა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან/და მსგავსი სასაქონლო ნიშნი, რომელიც კანონიერა არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისგან და აქედან გამომდინარე არღვევს სასაქონლო ნიშნის

მფლობელის უფლებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების დაკარგვა, შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა და ხელი შეუწყოს ორგანიზებულ დანაშაულს.

საქართველოში პრაქტიკის მიხედვით ყველაზე გავრცელებული კონტრაფაქციული საქონელია: ტანსაცმელი, ავტონაწილები, სათამაშოები, მობილური ტელეფონები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ჰიგიენურ-კოსმეტიკური საშუალებები და ალკოჰოლური სასამელები. კონტრაფაქციასთან ნიშანზე განსაკუთრებული უფლების წარმოშობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა უზენაესმა სასამართლომ კერძოდ კი: „სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდგომ სასაქონლო ნიშანი 2 ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მაძიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში. შესაბამისად რეგისტრაციის შემდგომ, პირი სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვებასთან ერთად იძენს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ უფლებებს, შესაბამისად დაცვის სტანდარტი ამ მხრივ უფრო მაღალია, სწორედ ამიტომ ყოველი ნიშნის და უფლებების დარღვევისას უნდა განვსაზღვროთ თუ რა არის დარღვევა და რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ის.

როგორც ვახსენეთ სასაქონლო ნიშნის გაყალბებისას და მასზე განსაკუთრებული უფლებების მქონე პირის უფლებების დარღვევისას, არა მხოლოდ უშუალოდ ეს პირი მოქმედებს მისი უფლებების აღდგენისთვის, არამედ სახელმწიფოც ერევა ამ კუთხით, რადგან სახელმწიფოს ინტერესიცაა, რომ სახელმწიფოში ინტელექტუალური საკუთრება იყოს დაცული და ამ მხრივ ეკონომიკური სტაბილურობის და დაცულობის განცდა არსებობდეს ქვეყანაში. ეს განცდა ჰქონდეს როგორც შენსავე მოქალაქეებს, ასევე იმ ინვესტორებს, რომელთაც სურთ შენს ქვეყანაში დააბანდონ კაპიტალი და მისი ბიზნესი გახდეს წარმატებული. ამ კუთხით სახელმწიფო არეგულირებს „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონით, რომლის საკანონმდებლო ცვლილება 2017 წლის 13 დეკემბერს განხორციელდა. აღნიშნული კანონის ცვლილებამდე მოქმედებდა 1999 წელს მიღებული კანონი, რომელიც ძალადაკარგულად

გამოცხადდა და ამოქმედდა ახალი კანონი. ცვლილებამდე კანონი მოიცავდა საავტორო და მომიჯნავე, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის, დიზაინზე, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლების დარღვევას და ამ უფლებების აღდგენას, ხოლო ცვლილების შედეგად ამჟამონათვალს დაემატა პატენტები, ინტელექტუალური მიკროსქემის ტოპოლოგია, და სელექციონერის განსაკუთრებული უფლებები, ასევე ცვლილებამდე კონტროლს მიღმა რჩებოდა ისეთი ოპერაციები, როგორცაა რეექსპორტი და დროებით შემოტანა. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ კანონის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების მფლობელს შეუძლია შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში რეგისტრირებული განაცხადი როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად და მოითხოვოს კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების ან სხვა პროცედურის განხორციელების შეჩერება.

წინა კანონთან შედარებით სიახლეა ის, რომ განმცხადებელს შეუძლია შეაჩეროს საქონელი უფლების რეგისტრაციამდე, მაგალითად: თუ შემოსავლების სამსახურს აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული საქონელი წარმოებულია, საქართველოში დაცული ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე უფლებების დარღვევით, რომელიც დაცულია საქართველოში, მაგრამ შეტანილი არ არის რეესტრში, სამსახურს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი საქონლის გადაადგილების ან/და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების 3 სამუშაო დღით შეჩერების თაობაზე აღნიშნული არ ვცელებს მალფუჭებად საქონელზე. კანონში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტებულია ჩამოთვლილი მექანიზმები კერძოდ, განსაზღვრულია ფულადი კომპენსაციის დაკისრებისთვის საჭირო პირობები და მიყენებული ზიანის ოდენობის დათვლის ტექნიკა. ასევე განსაზღვრულია მესამე პირის პასუხისმგებლობა, „რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ მისი მომსახურება გამოიყენება ანდა გამოიყენებოდა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის. ზიანის ოდენობის გამოთვლის ტექნიკა ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის არსს; სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით მიღებული შემოსავალს; სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანს და იმ სავარაუდო შემოსავალს,

რომელსაც მიიღებდა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი სასაქონლო ნიშნის მართლზომიერად გამოყენებით.

საკანონმდებლო დონეზე ერთი შეხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონმდებლობა კარგად უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას და გაწერილია, ყველა ის საკვანძო და ფუნდამენტური დებულებები, რომელიც დაეხმარება სასაქონლო ნიშნის შესაკუთრეს დაარეგისტრიროს სასაქონლო ნიშანი, მოახდინოს მისი რეალიზება და დაცვა, თუმცა საკანონმდებლო დებულებების სიმტკიცე და ეფექტურობა დამოკიდებულია სასამართლოზე და მის პრაქტიკაზე, რადგან რეალურად ჩვენ კანონი მაშინ გვიცავს და მაშინ შეგვიძლია დავინახოთ, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან ვახდენთ ჩვენი დაცული ნიშნის რეალიზებას თუ მისი დარღვევის შემთხვევაში სასამართლო ეფექტურად ჩაერევა და დარღვეულის უფლების აღდგენაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, რადგან აღსრულების პროცესი მთლიანად დამოკიდებულია სასამართლო გადაწყვეტილებაზე. მაგალითისთვის, როგორც ნაშრომშია განხილული, კონტრაფაქცია არის ყველაზე დიდი გამოწვევა, რადგან ამ დროს ხდება მთელი სამართლის ნორმების შეჯამება და მათი ანალიზის საფუძველზე ხდება დასკვნების გამოტანა. უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ამ მხრივაც კერძოდ საქონლის კონტრაფაქციულად მიჩნევისათვის უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა:(1) საქონელი უნდა იყოს იმ საქონლის იდენტური ან მსგავსი (შედიოდეს იმ საქონლის ჩამონათვალში), რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი (2)საქონელზე მოთავსებული უნდა იყოს ამ საქონელთან დაკავშირებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი; (3) იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი მოთავსებული უნდა იყოს უნებართვოდ.ზემოაღნიშნული ნორმით მოცემული ყველა ელემენტი კუმულაციურად უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ კონტრაფაქციულობის ფაქტი დადგინდეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვს მიღებული უზენაეს სასამართლოს, რომელიც შესაბამისი ანალიზის გათვალისწინებით ისეთი პრაქტიკის დანერგვა გახდება შესაძლებელი, რომელიც გაამარტივებს ამ რთული და კომპლექსური გადაწყვეტილების მიღებას.

### **3.3 სასაქონლო ნიშნების დაცვის სასაზღვრო ღონისძიებები**

საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს კიდევ ერთი პრაქტიკულად მნიშვნელოვანი კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ , რომლის მიზანია გააკონტროლოს და შეზღუდოს სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენება და სასაქონლო ნიშნის ქვეშ დამზადებული კონტრაფრაქტიული პროდუქტის იმპორტი, ექსპორტი და რეექსპორტი. ეს კანონი ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული შეთანხმების დებულებებს სასაზღვრო ღონისძიებების თაობაზე, რაც კონტრაფრაქციული პროდუქციის აღმოჩენისა და სასაქონლო ნიშნის დარღვევის კუთხით მეტ შესაძლებლობას იძლევა და ამ კუთხით ეფექტური შედეგი მოაქვს.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ახორციელებს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი, ეს სამსახური იცავს უფლების მფლობელის უფლებებს ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე, რომელიც შეტანილია რეესტრში, უფლების მფლობელს შეუძლია საქართველოს კანონის „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ მე-4 მუხლის საფუძველზე <sup>20</sup>: უფლების მფლობელს ან მის წარმომადგენელს (შემდგომ – განმცხადებელი) უფლება აქვს, სამსახურს წარუდგინოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში შეტანის (შემდგომ – რეგისტრაცია) შესახებ განაცხადი როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით და მოითხოვოს კონტრაფრაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების ან სხვა პროცედურის განხორციელების შეჩერება და უფლების მფლობელის უფლებების დაცვა. უფლების დამცველის მხრიდან ამ მოქმედების განხორციელების შემდგომ სამსახურის მხრიდან თუ სამსახურს აქვს საკმარისი საფუძველი, ივარაუდოს, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მოხვედრილი საქონელი წარმოებულია ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე უფლებების დარღვევით, რომელიც დაცულია საქართველოში ან/და საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით საერთაშორისო მარეგისტრირებელ ორგანოში უფლება აქვს გააჩეროს აღნიშნული საქონელი საბაჟოზე და დროებით სანამ არ დადგინდება არის თუ არა ეს საქონელი მართლაც უფლების დარღვევით წარმოებული და კონტრაფრაქციული პროდუქტი. სამსახურს ასევე უფლება აქვს გააჩეროს აღნიშნულ საქონელი

<sup>20</sup> ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3936688?publication=1> ბოლოს ნანახი 21/06/2020

მოცემული საექვოობისას იმის მიუხედავად არის თუ არა მსგავსი ანდა იდენტური სასაქონლო ნიშნი რეგისტრირებული რეესტრში.

გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს პროდუქტებზე და შესაძლოა ეს პროდუქტები ასევე იყოს მალფუჭებადი ბუნებრივია ამ კუთხით არის თუ არა ეს საქონელი კონტრაფრაქციული ან/და ირღვევა თუ არა საქონლის იმპორტით სხვა სასაქონლო ნიშნის მფლობელის ინტერესები ასეთი გადაწყვეტილების მიღება უნდა იყოს სწრაფი და ეფექტური , რათა არ მოხდეს ამ პრევენციული ზომის ისეთი გამოყენება, რითაც გამოუსწორებელი ზიანი მიადგება საქონლოს მფლობელ კომპანიას. ამ კუთხით სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ ვადებს, მაგალითისთვის თუ სამსახური ჩათვლის, რომ საქონელი წარმოებულია საქართველოში დაცულ ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე უფლებების დარღვევით, რომელიც შეტანილია რეესტრში შეუძლია გააჩეროს საქონელი 10 დღით, ხოლო თუ ეს საქონელი არის მალფუჭებადი მხოლოდ და მხოლოდ 3 დღით, ამის შემდგომ სამსახური აღნიშნულის შესახებ ატყობინებს განმცხადებელს ვის სახელზეც რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნი და უგზავნის ინფორმაციას აღნიშნული საქონლის შესახებ, რათა დადგინდეს წარმოადგენს თუ არა ეს საქონელი მართლაც კონტრაფრაქციულს თუ განმცხადებელი განაცხადებს, რომ მოცემული საქონელი არ წარმოადგენს კონტრაფრაქციულ საქონელს აღნიშნული საქონელი ავტომატურად უქმდება სამსახურის მიერ საქონლის შეჩერების გადაწყვეტილება, ხოლო თუ განმცხადებელის მხრიდან არ მოხდება დადასტურება სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე<sup>21</sup> სამსახურის თანხმობით განმცხადებელს უფლება აქვს საქონლის მფლობელის თანდასწრებით შეამოწმოს შეჩერებული საქონელი და აიღოს შესამოწმებელი საქონლის ნიმუში და ასევე განმცხადებელს უფლება აქვს აღნიშნული შემოწმება მოსთხოვოს უშუალოდ სამსახურს და შემდგომ გადაუგზავნონ ინფორმაცია ექსპერტიზის შესახებ, ხოლო ექსპერტიზის პერიოდში თუ საკმარისიად არ იქნა შესწავლილი ნიმუში განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს შეჩერების ვადის გაგრძელება 10 სამუშაო დღით, მაგრამ ამ შემთხვევაში გამონაკლისია მალფუჭებადი საქონელი და მიუხედავად მოთოვნისა მალფუჭებადი საქონლის გაჩერების დროს ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ მხარეებს შორის ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა შეთანხმება და საქონლის მფლობელი უარს იტყვის შეჩერებულ საქონელზე აღნიშნული საქონელი ნადგურდება და არ ხდება მისი ალტერნატიული გზით გამოყენება, რაც უფრო ეფექტური და სარგებლიანი იქნეოდა დაცული ნორმებით საქონლის გამოყენება ვიდრე მისი უბრალოდ განადგურება, ხოლო

<sup>21</sup> ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ:

თუ მხარეებს შორის ასეთი შეთანხმება არ შედგა ან/და დროულად არ იქნა შეთანხმება წარმოდგენილი, საქმე სასამართლო წესით განიხილება და ამ შემთხვევაში საქონლის შეჩერებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ერთის მხრივ აღნიშნული კანონმდებლობა და უფლებამოსილი სამსახური სასაქონლო ნიშნის დაცვის კუთხით და კონტრაფაქციული საქონელის საბაჟოზე მოხვედრის შეზღუდვის მიზნით მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე რომ ნებისმიერი საქონლის შემოტანისას ხდება აღნიშნული პროცედურების განხორციელება და ამ კუთხით განსაზღვრული და ჩამოთვლილია ის პირობები, რომლის დროსაც ხდება გამონაკლისების დაშვება. სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად: კანონი არ ვრცელდება: ა) არაკომერციული დანიშნულების მცირე რაოდენობის საქონელზე, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან ხელბარგში ან/და განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის; ბ) ორიგინალ საქონელზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი გადაადგილება უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე ხდება; გ) საქონელზე, რომელიც დამზადებულია უფლების მფლობელის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ და რომელიც წარმოებულია ამ პირსა და უფლების მფლობელს შორის შეთანხმებულზე მეტი რაოდენობით; დ) სისხლის სამართლის პროცესის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

ზემოთ აღწერილი სამართლებრივი თუ ფაქტობრივი შეფასებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ კანონი და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასაქონლო ნიშნების დაცვის კუთხით და პრევენციას ახდენს არ მოხვდეს კონტრაფაქციული საქონელი საქალტველოს ფარგლებში და ფარგლებს გარეთ

## კვლევის შედეგები

კვლევი შედეგებიდან გამოყენებული იყო ისტორიულმა და ქრონოლოგიურმა ანალიზმა დაგვანახა თუ საიდან იღებს სათავეს ინტელექტუალური საკუთრება და როგორ წარმოიშვა მისი დაცვის ობიექტი სასაქონლო ნიშანი, რას აღიარებდნენ სასაქონლო ნიშნად და როგორ ხდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ სასაქონლო ნიშნის დაცვა. ასევე დავინახეთ თუ როგორ მზარდია სასაქონლო ნიშნის განვითარება მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, რადგან საერთაშორისო ვაჭრობა უფრო და უფრო ვითრდება და არამხოლოდ კომუნიკაცია არამედ ვაჭრობაც ინტენსიურად მიმდინარეობს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

სტატისტიკურმა ანალიზმა გვაჩვენა თუ როგორი სიტუაცია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის კუთხით და ასევე დაგვანახა მსგავსება და სხვაობა სხვადასხვა პერიოდში რეგისტრაციების რაოდენობისა, ამ კუთხით დავინახეთ, რომ საქართველოში არ იკლებს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, ხოლო შიდა რეგისტრაცია სტაბილურად ინარჩუნებს პოზიტიურ სასაქონლო ნიშნების რაოდენობას, მაგრამ ამ კუთხითაც გასაუმჯობესებელია სტატისტიკა, რათა საქართველო გახდეს უფრო მიმზიდველი მსოფლიოს ნებისმიერი სავაჭრო ორგანიზაციის და ბიზნეს სტარტაპერებისთვის.~

საკოდიფიკაციო მეთოდებმა და კრიტიკულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ზოგადი ნორმების ჩამოყალიბება არ გვამლევს იმის საუალებას, რომ გავიგოთ რა არის სასაქონლო ნიშანი და ირღვევა თუ არა ნიშნის რეგისტრაციით მესამე პირის უფლებები, ამ კუთხით დასახვეწია საკანონმდებლო დონეზე ის პროცედურები და ექსპერტია, რომელიც უშუალო გზას წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციისას და ბოლოს სისტემურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ სახელმწიფო როგორც მაკონტროლებელი ორგანო არ უნდა გახდეს, როგორც დამსჯელობითი ორგანო და მან დარღვევის შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ის ბერკეტები და მეთოდები, რომ ერთის მხრივ დაიცვას სასაქონლო ნიშნის მფლობელი და მეორეს მხრივ საზოგადოების ინტერეს

## დასკვნა

ნაშრომის განხილვის შემდგომ ჩვენ დავინახეთ თუ რა არის ინტელექტუალური საკუთრება და მისი დაცვის ობიექტი სასაქონლო ნიშანი, რას საჭიროებას წარმოადგენს ის საზოგადოების და ბიზნესის კუთხით, ასევე სასაქონლო ნიშნის რა სახეები არსებობს და როგორ უნდა დავცვათ სასაქონლო ნიშანი. ნაშრომის განხილვისას დავინახეთ თუ რა პრაქტიკა არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას და რა დარღვევები შეიძლება მოჰყვეს სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციის კუთხით, ამ მხრივ დასახვეწია ექსპერტიზის მეთოდები და ვადები, რადგან მხოლოდ საფასურის გადახდის შემთხვევაში არ უნდა გადაწყდეს სასაქონლო ნიშნის არსებობა ან არარსებობა, მისი დადგენა უნდა ხორციელდებოდეს საფუძვლიანად და უნდა იყოს დასაბუთებული, რომ არ გამოიწვიოს სხვისი უფლებების შელახვა მხოლოდ და მხოლოდ სწრაფი სერვისის არსებობის გამო . ასევე სასამართლო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა გარკვეული სახის მსგავსებები ორ სასაქონლო ნიშანს შორის უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ სასაქონლო ნიშნის ქვეშ არსებული პროდუქტი, რომელ კატეგორიასა და სფეროს მიეკუთვნება, რადგან თუ არსებობს საზოგადოების ცნობადობის მაღალი დონე პროდუქტებთან და სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში მაშინ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ის რისკი, რომ საზოგადოებაში მოხდეს სასაქონლო ნიშნებს შორის ასოციაცია აღრევა.

ნაშრომის ბოლოს ასევე დავინახეთ თუ რა უფლებები და მოვალეობები აკისრია სახელმწიფოს როგორც მაკონტროლებელ ორგანოს, რომ დაიცვას სასაქონლო ნიშნის მფლობელი და საზოგადოება, რათა არ არსებობდეს ბაზარზე კონტრაფაქციული საქონელი. მაგრამ ამ კუთხითაც დასახვეწია კონტრაფაქციულ საქონელის აღმოჩენის შემდგომ ღონისძიებები, რადგან იმის გამო რომ პროდუქტი არღვევს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს და კანონს უშუალოდ ეს პროდუქტი არ უნდა ნადგურდებოდეს და სხვაგვარი მეთოდებით უნდა იქნეს აღმოფხვრლი ეს საკითხი, რადგან შემოქმედების განადგურება ყველაზე არაჰუმანური მიდგომაა და ამით იმ საზოგადოების ნაწილს, რომელთაც საერთოდ არ აინტერესებს სასაქონლო ნიშნი ვაყენებთ მატერიალურ ზიანს, რაც სახელმწიფოს მხრიდან სხვაგვარ მიდგომას იმსახურებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით ძამუკა შვილი; ინტელექტუალური საკუთრების სამართალი; გამომც: ინტელექტი; გვ 289, თბილისი 2006
  2. დავით ძამუკაშვილი; სამრეწველო საკუთრება (კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა): გამომც: უფლება; გვ. 188: თბილისი 1998;
  3. თ. ტალიაშვილი, „სასაქონლო ნიშანი, განსაკუთრებული უფლება | სასაქონლო ნიშან სე" ჟურნ. „სამართალი", 1997
  4. მარიამ ძიძიგური, „სასაქონლო ნიშნებზე უფლებების დაცვა“ ჟურნალი N4 გამომც: „სამართლებრივი განვითარება“
  5. დ. გაბუნია, მ.კვისაძე, ზ. მელითაური, ინგლისურიდან თარგმნეს „ინტელექტუალური საკუთრება“ წიგნი პირველი, გამომც: ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ თბილისი 2001
  6. ნინო რუსეიშვილი, „მტკიცების ტვირტი ინტელექტუალურ სამართლებრივ დავაში“
  7. Muhammad Sarwar Chaudhry, „SCOPE OF TRADEMARK PROTECTION“ , Field of study Intellectual Property Law, Semester Spring 2007
  8. PHAN NGOC TAM, „WELL-KNOWN TRADEMARK PROTECTION“ , DOCTORAL DISSERTATION OF LAW, HOCHIMINH CITY – 2011.
  9. „საქართველოს კონსტიტუცია“, წ 1995
  10. კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ წ 1999
  11. კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ წ2017
  12. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, წ 1883
  13. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული პროტოკოლი, წ1989
  14. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ,წ1994
- ვებგვერდები:**
15. <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/>
  16. <http://ecd.court.ge>
  17. <http://www.supremecourt.ge>